# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 იანვარი, 2011 წელი.

№3 (6614)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## „ალბათ, ამიტომ დაპატარავდი(?!)“...



რად გვაზომებდა პოეტი ცხვირში რგოლგაყრილ ბელადს და რად არა ვართ თავისუფლების კი არა, მონობის ღირსიც?

3

ყველაზე ძლიერი მეფეები ბავშვებსაც უსმენდნენ, სიბრძნეს გლეხებისგან და მდაბიოებისგან სწავლობდნენ. ყველას მიუგდეთ ყური. არაფერს წააგებთ. მე ვინა ვარ, ამდენს რომ გიბედავთ, მაგრამ, როცა საქმე ჩემს მშობლიურ ენას, სარწმუნოებას ეხება, თქვენ კი არა მთელ მსოფლიოს შევეჭიდები.

## როცა ქვეყანა იძირება ჯაზ-კონცერტების თანხლებით



4

## აზერბაიჯანი ყარაბაღის დაბრუნებას ომით აპირებს...

7

## დისკრიმინაცია ეროვნული კუთვნილების მიხედვით – უპირველესად ჩერნებისა და ქართველებისთვის

6

## ასეთი პრივილეგიით მხოლოდ დალაი ლამამ ისარგებლა...

8

## ესენი სამშობლოსთვის იბრძოდნენ, ახლა ამათ სახელმწიფო ებრძვის...



2

## საქართველოს მწერალთა კავშირში

როგორც ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ თავის წინა სხდომაზე (2010 წლის 29 დეკემბერს) გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა ვაჟა ოთარაშვილი.

გუშინ, 5 იანვარს, გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა (39 წევრიდან ესწრებოდა 21 წევრი), რომელმაც გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორად აირჩია ახალგაზრდა პოეტი **გენრი დოლიძე.** გამგეობამ აირჩია აგრეთვე სამეურნეო საბჭო 5 წევრის შემადგენლობით (**ბალათერ არაბული, გურამ გოგიაშვილი** (საბჭოს თავმჯდომარე), **მურმან თავდიშვილი, ზურაბ თორია, სოსო სიგუა**). გამომცემლობის კურატორად დაინიშნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ბალათერ არაბული.** გამგეობის დავალებით გამომცემლობის ყოველწლიურ საგამომცემლო გეგმას შეადგენს მწერალთა კავშირის სამდივნო. გამგეობა ყოველი წლის ბოლოს მოისმენს გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ხელმძღვანელობის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

**ცნობისთვის: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალი დირექტორი გენრი დოლიძე დაბადებულია 1988 წელს. პროფესიით იურისტია, არის მწერალთა კავშირის წევრი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პრემიის („მერანი“) ლაურეატი, ამჟამად მუშაობს ერთ-ერთი კერძო კომპანიის პიარმენეჯერად, რადიო „საქართველოს ხმაში“ აქვს საავტორო გადაცემა – „პოეზიის დილა“, არის აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციის– „კავკასიონის“ მენეჯერი.**

**ერთი სიტყვით, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, კოჭებში ეტყობა, რომ დროისდა შესაბამისად ყოჩალი ჭაბუკია. დანარჩენს, ცხადია, საქმე გამოაჩენს.**

**ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალ ახალგაზრდა ხელმძღვანელს მივულოცოთ მისთვის უთუოდ კარგად დაწყებული ახალი 2011 წელი და ვუსურვოთ წარმატება არცთუ იოლ ახალ თანამდებობაზე.**



ვეტერანები

# „პრობლემა ხელკეტებით ვერ გადაიჭრება“

**„ინტერპრესნიუსმა“ ვეტერანთა დაკავების ფაქტის შეფასება რადიო „თავისუფლების“ სამხედრო მიმომხილველს კობა ლიკლიკაძეს სთხოვა.**



**– ბატონო კობა, 3 იანვარს გმირთა მოედანზე ვეტერანების აქცია სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებით დაშალეს და აქციის ათამდე მონაწილე დააკავეს. რამდენად ლეგიტიმური იყო ვეტერანების მოთხოვნა და პოლიციის ქმედებაც?**

– კანონის თანახმად, მომხდარის შეფასება გამიჭირდება. პოლიციას ნამდვილად აქვს უფლება, ნებისმიერი არასანქცირებული ღონისძიება დაშალოს და წესრიგის დამყარება უზრუნველყოს. მაგრამ ფორმას და დროს გააჩნია, გუშინ არც ერთი და არც მეორე სწორად შერჩეული არ იყო. აქციის დაწყებიდან შვიდი დღე იყო გასული და ისინი 6 იანვარს ისედაც აპირებდნენ დაშლას, რადგან გამაფრთხილებელი აქცია ჰქონდათ. რატომ დასჭირდათ ამის გაკეთება და ასეთი რეზონანსის გამოწვევა, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რადგან პრობლემა, რომელსაც ვეტერანების სოციალური ადაპტაცია, მათი დასაქმება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვა ჰქვია, ხელკეტებით ვერ გადაიჭრება. წლებია, ვაქვეყნებ სტატიებს იმის შესახებ, რომ სამხედრო პირების სამსახურიდან გაშვება ყოველგვარი კომპენსაციის, მათი გადამზადების, სოციალური ადაპტაციის, ალტერნატიული დასაქმების შეთავაზების გარეშე დაუშვებელია. ამას სჭირდება ფაქიზი სახელმწიფოებრივი მიდგომა: დასავლეთის ქვეყნებში არსებობს სპეციალური პროგრამები, რითაც ხელს უწყობენ ვეტერანების სოციალიზაციას, მათი შესაძლებლობების სხვა სფეროში გამოყენებას: ასწავლიან, თუ როგორ აკეთონ მცირე ბიზნესი, ჩაერთონ აგრარულ სფეროში. როგორც ხელისუფლება აცხადებს, საქართველოში ხომ იწყება ეკონომიკური აღმავლობის ახალი ეტაპი, დაასაქმონ ეს ადამიანები ამ ახალ პროექტებში. მით უმეტეს, რომ ეს ადამიანები წლების განმავლობაში ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე ითხოვდნენ ყურადღებას, მიდიოდნენ კაბინეტებში, აკითხავდნენ ვეტერანთა დეპარტამენტს, პარლამენტარებს, სხვა ჩინოვნიკებს, სამწუხაროდ, მათ ყველამ წაუყრუა. ასე რომ, გამოსავალი არ არის აქციის ძალის გამოყენებით დაშლა, მით უმეტეს, რომ ამას ძალიან ცუდი რეზონანსი მოჰყვა, პრობლემა ხომ მაინც რჩება?!

მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს, საკანონმდებლო ორგანოს მართებთ დაფიქრება და ვეტერანებისთვის სპეციალური პროგრამების ამოქმედება, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი არც ისე ძვირი „სიამოვნებაა“. შეიძლება, ეს ყველაფერი არასამთავრობო სექტორთან ერთად განხორციელდეს.



**– დაუზუსტებელი ინფორმაციით, საქართველოში 10 ათასზე მეტი ვეტერანია. აქციაზე მყოფი მოშიმშილეებიც აცხადებდნენ, რომ მათ უკან ათასობით ადამიანი დგას...**

– არა მგონია, რომ 10 ათასი ზუსტი ციფრი იყოს. ესეც დასათვლელია. პრობლემა ისიც არის, რომ არ მოხდა ამ ადამიანების ზუსტი აღრიცხვა, გარკვეული აუდიტი, რომელიც უფრო ნათელ სურათს დაგვიხატავდა. ვფიქრობ, ვეტერანთა დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს უფრო ზუსტი მონაცემები. კიდევ ერთი პრობლემა: ქართულ ჯარში დღესაც ხომ მსახურობენ ადამიანები და კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ ისინიც ასეთ დღეში აღმოჩნდებიან. პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია და ამაზე თვალის დახუჭვა ყოვლად დაუშვებელია. ყველაზე ცუდი გამოსავალი კი ის არის, რაც გუშინ მოხდა.

იხ. 4 გვ.

ეხმაურებიან ჩვენს გამოკითხვას

# წარმოგიდგენთ ნომინანტთა ჩემს ვარიანტს

**მართალი გითხრათ, ძალიან დიდი ფიქრი არ დამჭირვებია იმისთვის, რომ თქვენს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თუ „ვინ იყო 2010 წელს ქართულ პოლიტიკაში ყველაზე ქლესა, ყველაზე მედროვე და ყველაზე მატყუარა“, ნომინანტები დამესახელებინა.**

**მართალი გითხრათ ამ „სტატუსს“ ფაქტობრივად პოლიტიკოსთა საკმაოდ ფართო სპექტრი იზიარებს როგორც ხელისუფლებიდან, ისე ოპოზიციიდან, მაგრამ ბუნებრივია, რომ არიან გამოკვეთილი „პიროვნებები“, რომლებიც პირველობას არავის არ უთმობენ.**

**გამომდინარე იმ მარტივი მიზეზიდან, რომ ყველა ნომინაციაში საპრიზო ადგილს ერთმანეთს პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, საკმაოდ „მძიმე ბრძოლაში ეცილებიან“, ამიტომ ვარჩიე, რომ ისინი ერთმანეთისთვის არ დამეცილებინა და მათ შორის გამოკვეთილი „მოღვაწეებისთვის“ გული არ დამეწყვიტა.**

**გთავაზობთ „გამარჯვებული“ კანდიდატების ჩემს ვარიანტს.**



მაშ ასე:

**ყველაზე ქლესა:** აქ ხელისუფლების წარმომადგენლებიდან ერთმანეთს პირველ ადგილს ეცილებოდა ყველა დეპუტატი, ყველა მინისტრი, ყველა გუბერნატორი და გამგებელი, ყველა ჩინოვნიკი, მაგრამ პირველ ადგილზე, მაინც **ხათუნა ოჩიაური და ნუგზარ წიკლაური** გავიდნენ.

რაც შეეხება ოპოზიციას, მათ ერთის შეხედვით ქლესობას ვერ დასწამებ, მაგრამ გია თორთლაძემ მაინც გამოიჩინა თავი და პაატა დავითაიას მცირე ქულებით გაუსწრო.

**ყველაზე მედროვე:** ამ ნომინაციაში, „ღირსეული“ ადგილი დაიმკვიდრეს „მოქალაქეთა კავშირის“ ყოფილმა „ლიდერებმა“. თავის დროზე ედუარდ შევარდნაძეს დითირამბებს რომ უმღეროდნენ, 1995 წლიდან ხელისუფლებაში იყვნენ და დღეს ხმამაღლა აცხადებენ, რომ 2003 წლამდე საქართველოში სასიკეთო არაფერი მომხდარაო. მათ შორის პირველობა არავის დაუთმეს **მიხეილ მაჭავარიანმა და გიგი წერეთელმა.**

ამ ნომინაციაში ოპოზიციიდან **ქრისტიან-დემოკრატებმა** გაიმარჯვეს (სრული შემადგენლობით).

**ყველაზე მატყუარა:** ამ ნომინაციაში პირველობა ე.წ. **„ქუჩის ოპოზიციამ“** და ახლად შექმნილმა **„ქართულმა პარტიამ“,** თავისი ლიდერის **ლევან გაჩეჩილაძის** მეთაურობით დაიმსახურეს.

რაც შეეხება ხელისუფლებას, მათ შორის თავი გამოიჩინეს პარლამენტის თავმჯდომარე **დავით ბაქრაძემ,** ასევე ეკონომიკის მინისტრმა **ვერა ქობალიამ** და საგარეო საქმეთა მინისტრმა **გრიგოლ ვაშაძემ.**

**პატივისცემით**

**ჯუმბერ გიორგაძე,**

**არქეოლოგი.**

ჩვენს კრიტიკას შედეგი მოჰყვა

# თბილისის მერიის სამსახურები მთლად არ დაყრუებულან!

**საქართველოს დედაქალაქის გარე იერ-სახეს თვალს რომ შეავლებ, გული მოგიკვდება კაცს: თითო-ოროლა საჩვენებელი ქუჩისა და გაზონის მიღმა, თვით ცენტრალურ უბნებშიც კი, „პატარა ქუჩები“ ჩახერგილ-ჩაბინძურებულია, ასფალტი აყრილია. რამდენიმე თვის წინათ, მელიქიშვილის ქუჩის ტროტუარზე (სტანდარტ ბანკის წინ) დაგებული ქვაფენილი ისეა დაზიანებული, თუ ფრთხილად არ გაიარე, კისერს მოიტეხ! ჯანაშიას, თარხნიშვილის, ყაზბეგის, ბაქრაძის, ხორავას და სხვა ქუჩებზე ძველ ხეებს ჭრიან, ახლის დარგვაზე კი არავინ ფიქრობს. თვით ვერის პარკშიც კი წლების წინათ გამხმარი ხეების სამაგიეროდ ძლიერი ნერგები არავის ჩაურგავს. შარშან, გაზაფხულზე აქა-იქ კი ჩარგეს უსუსური ნერგი, მაგრამ ონავარმა ბავშვებმა თითქმის ყველა მათგანი მოტეხეს!..**

არაფერს ვამბობ ვიწრო ქუჩების „პარკირების“ თბილისურ მეთოდზე. ყველა ტროტუარზე და ჩიხში, თეთრად მონიშნულ „შემოღობილში“ დილიდან გვიან საღამომდე ყრია მანქანები. ფეხით მოსიარულეთათვის ადგილი აღარსად ჩანს! ტროტუარების „პრივატიზაციის“ პრობლემა დღეს თბილისის ეკოლოგიური კატასტროფის ერთ-ერთი სათავეა, დედაქალაქის ჰაერი ხომ კარგა ხანია, დასაშვებ ნორმასთან შედარებით, **20-ჯერ, დიახ, ოცჯერ უფრო დაბინძურებულია!**



არადა, მდგომარეობის გამოსწორება ცოტათი მაინც შეიძლება, თუ თბილისის მერიის ხელმძღვანელები, რაიონების გამგებლები მანქანებიდან გადმოვლენ, ქუჩებში ფეხით ივლიან და... დედაქალაქის კეთილმოწყობისთვის გამოყოფილი სოლიდური თანხების მინიმუმ ნახევარს ჯიბეში არ ჩაიდებენ!

ამ ცოტა ხნის წინათ ყურადღების რაღაც ნაპერწკალი გამოჩნდა მისი უდიდებულესობა თბილისის მერის გიგი უგულავას და მისი სამსახურების მხრიდან. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 14 დეკემბერს გამოქვეყნებულმა ჩემმა წერილმა – „რატომ დაყრუვ-დაბრმავდნენ თბილისის მერიის ხელმძღვანელები?“ – როგორც იტყვიან, მიზანს მიაღწია. სტატია (ფოტობრალდებით) ამხელდა ფალიაშვილის ქუჩაზე (№ 82ძ, რაფიელ ერისთავის ქუჩაზე (№ 8ძ, დიღმის მირცხულავას ქუჩაზე (№6ძ შექმნილი ანტისანიტარიის, გარევაჭრობის, უპატრონოდ მიგდებული სატვირთო მანქანების და სხვა ფაქტებს.

დაახლოებით ერთ კვირაში ყველა ზემოთ მითითებულ მისამართზე მდგომარეობა გამოსწორდა, მერიის სამსახურებმა კარგად იმუშავეს და ელემენტარული უყურადღებობით გამოწვეული სიმახინჯეები მოაწესრიგეს.

რაც კარგია, კარგია. ჩვენი კრიტიკა თვითმიზანი არ არის, თუ დედაქალაქის ხელმძღვანელობა სისტემატიურად გადახედავს ქართულ პრესას, უპირველეს ყოვლისა კი ჩვენს ძველ, სანდო, ყველაზე გაწონასწორებულ გაზეთს, ბევრ რასმე სასარგებლოს ამოიკითხავს... თუმცაღა, ამოკითხვა არ არის მთავარი, დედაქალაქის მესვეურებო, მთავარია კრიტიკა გულზე მოგხვდეთ და რეაგირება არ დააყოვნოთ.

თუ ეს ასე გაგრძელდება, კარგსაც უფრო მეტს დავინახავთ და გულწრფელად შეგაქებთ კიდეც!

**სპარტაკ ქობულია**

◎ მოპრუწუნეები

**თითქოს ამ წერილის სათაურ-ქვესათაურში გამოტანილი სამი პოეტის მიერ დანახულ-განცდილი ჩვენი სამშობლო და მისი დღევანდელობა გამიკრთო კინოკადრებივით წამიერად თვალწინ მიხეილ სააკაშვილის მოწოდებამ, რომელიც საახალწლოდ „ინტერპესნიუსმა“ გაავრცელა: „მოვუწოდებ ყველას, სანამ მიწა არის და მიწა არის ცოტა, თვალები გაახილონ, ააშენონ და გამდიდრდნენ.“**

# „ალბათ, ამიტომ დაპატარავდი(?!)“...

## რად გვაზომებდა პოეტი ცხვირში რგოლგაყრილ ბელადს და რად არა ვართ თავისუფლების კი არა, მონობის ღირსიც?



ნუ დავინტერესდებით იმით, ვის მოუწოდებდა პრეზიდენტი, ნურც ამ განცხადების სხვა ნიუანსებს ჩავექიებით და მხოლოდ ერთ მომენტს მივაქციოთ ყურადღება სააკაშვილის ენა-პირით გახმოვანებულიდან: **„სანამ მიწა არის და მიწა არის ცოტა“...**

არ გაგახსენდათ ცნობილი მოწოდება „კავკასიური ცარცის წრიდან“ – **„იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა, თორემ?“..**

გეხსომებათ, იმ სპექტაკლში მაშინ, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, კონკრეტულად არაფერს არ გვთავაზობდნენ, ჟანრი ლოლაშვილის ნამღერით მოგვიწოდებდნენ, ყველაფერი იყიდეთ, რაზეც ხელი მიგიწვდებათო, რომელი მოწოდებაც მერე, უკვე ამ საუკუნის დასაწყისში, ქართული ეკონომიკის მამამ კახა ბენდუქიძემ (ერთხელ დავწერე და ახლაც გავიმეორებ: სიტყვა „მამა“ ბრჭყალებში განგებ არ ჩავსვი, რადგან ბენდუქიძე მართლაც მამაა ქართული ეკონომიკისა, რამეთუ მან მას – ქართულ ეკონომიკას – მართლაც დედა „გაუიმასქნა“ და ასეთ დღეში ჩაგვაგდოძ „კონკრეტიკით“ შეავსო – ყველაფერი უნდა გავყიდოთ სინდის-ნამუსის გარდაო!

**მაგრამ თუ სწორედ იგი – ის სინდის-ნამუსი – გაყიდა მავანმა უწინარესად?**

თანაც ვინმე უსახურმა მავანმა კი არა, უფლებამოსილმა „გამყიდველმა?“

ან მთლად უარესი – თუ მას, ამ „უფლებამოსილს“, იგი – **ეს სინდის-ნამუსი არასოდეს არ ჰქონია და არცა აქვს?**

მაშინ რა ვქნათ, რა შეგვრჩება ხელთ?

რა და ის, რაც მოსწრებულად გალექსა გალაკტიონმა – **„პრუწუნ-პრუწუნი!“**

სწორედ ასე მოგვივიდა ჩვენც, უფრო სწორად, ჩვენს „უფლებამოსილ გამყიდველებს“, ყოველ გზაჯვარედინზე, მინდორ-ველად, მთასა თუ ბარში მოძრავი ტელესადგურივით „გადაადგილებადი“ ტრიბუნიდან რომ პრუწუნ-პრუწუნებენ – მაგრები ვართო, პირველები ვართო, ამაზე გრძელიო, ამაზე დიდიო, ამაზე დიდებული და თვალმიმტაციო განა ოდესმე სადმე ვინმეს რამე აუშენებიაო?

პრუწუნებენ და არკი იციან (უფრო სწორად, იციან, მაგრამ არ იმჩნევენძ, რომ მათს **„პროზას“** გალაკტიონისა არ იყოს, **„ოზა“** აქვს გამოკლებული და **„უწუნი“** – მიმატებული!

**ამიტომაც გამოუდით უსაქმო სიტყვების რახა-რუხი, ანუ პრუწუნ-პრუწუნი!**

სწორედ ამის წყალობით ჩვენი ქვეყანა ისევეა დემოკრატიის შუქურა, როგორი დემოკრატიის შუქურაც ვანო ჯავახიშვილის შოუა ამ სანახაობის წამყვანისვე მტკიცებით...

თუმცა, ვატყობ, კალამი კვლავ გამექცა... ამიტომაც, სჯობს, ისევ სააკაშვილის მიერ გახმოვანებული მოწოდების იმ ერთ მომენტს მივუტრიალდე.

საქართველო არასოდეს ყოფილა განსაკუთრებით უხვმიწიანი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე რომ გახლდათ გადაჭიმული, მაშინაც კი. თითქმის მუდამ ისე იყო, პოეტმა რომ ათქმევინა ქართველებს – დღეს რომ ყველა მოვკვდეთ შენთვის, საფლავებად არ გვეყოფიო.

ჰოდა, ასე პატარა მიწას ხომ უფრო მეტი მოფრთხილება სჭირდება.

კი სჭირდება, მაგრამ...

„კავკასიურ ცარცის წრეში“, გეხსომებათ, პიესის პატარა გმირს **„მარცხი“** მოუვიდა: **„ისევ ჩაიფსი, მიშიკო?“**

**თუმცა ეს რა იყო იმ დიდ „მარცხთან“ შედარებით, მის უფროს სეხნიას რომ მოუვიდა და ისეააქოთა ყველაფერი, „გამარჯვებულმა“ საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი დაგვაკარგვინა!**

ამ წერილის შესავალში ნახსენები სამი პოეტიდან ერთს, უდროოდ გარდაცვლილ ავთანდილ გურგენიძეს კი ეგონა, საქართველოს ტერიტორია იმიტომ დაპატარავდაო, რომ...

**„ვინც დედულეთში დაბრუნებას**
**აღარ ელოდა,**
**გაგიყოლია, ვით სიცოცხლის**
**ძალა მარადი...**
**შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს**
**საქართველოდან, –**
**ალბათ, ამიტომ დაპატარავდი“...**

**მუჭა-მუჭა გატანა რა მოსატანია ამჟამინდელ ბითუმად გაყიდვა-დაკარგვასთან შედარებით!**

თუმცა ესეც არახალია! ყველაფერს მარტო მიშიკოს „მარცხს“ ნუ დავაბრალებთ! არც მანამდე ვუფრთხილდებოდით და ვინდობდით ქართველები ქართულ მიწას თუ ერთმანეთს!

ამიტომაც ამოიკვნესა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ლამის გაველურებულ ქართველთა ყოვლად უგვანი საქციელით გულგასენილმა შოთა ნიშნიანიძემ საქართველოზე:

**„ჩემო გოლგოთავ და სამოთხევ,**
**ცოდვაში ჩაფლულხარ ყელამდე,**
**ღირსი ხარ, თუ ლაგამს ამოგდებს**
**ცხვირში რგოლგაყრილი ბელადი!“**

ამიტომ წერდა გულმოკლული ზაურ ბოლქვაძეც, – **თავისუფლების კი არა, მონობის ღირსიც არა ვართო.**

**მთლად მონისას იქნებ არა, მაგრამ უცხოელების მოსამსახურეთა ხვედრს რომ გვიმზადებს ხელისუფლება, ფაქტია.**

ამიტომაც მოუწოდებს სააკაშვილი უცხოელებს, მიწა ცოტა დაგვრჩა და, სანამ ისიც არ დაგვიკარგავს, იჩქარეთო!

**არა, ბატონებო, არც უცხოური ინვესტიციების შემოსვლის წინააღმდეგი ვარ და არც უცხოელი ტურისტების მოზღვავებისა, მაგრამ სანამ მთელ საქართველოს ერთ დიდ სასტუმროდ გადააქცევდეთ, საქართველოში დარჩენილ-გადარჩენილ ქართველობას კი იმ საზღვარგარეთელი ტურისტების მომსახურე პერსონალად გახდიდეთ, რომლებიც თავიანთ დავრდომილ მშობლებს საქართველოდან ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს დაუტოვებენ მოსავლელად, ხოლო თვითონ ჩვენს მართლაც მშვენიერ ქვეყანაში დასათვალიერებელ-დასასვენებლად ჩამოვლენ (ასეთი რამ უკვე ხდება კიდეც), იქნებ ერთი რამე მაინც გაითვალისწინოთ?**

**საქართველო ერთგვარ მსოფლიო საგამოფენო პავილიონად კი შეიძლება ჩაითვალოს (აქ ხომ ოკეანის გარდა ყველაფერია), მაგრამ ადამიანებს ბუნების მშვენიერებით ტკბობის შემდეგ ხომ ჭამაც სჭირდებათ?**

**ჰოდა, სწორედ ამ ადამიანების – ტურისტების გამოსაკვებად მაინც და ამისთვის საჭირო დოზით მაინც იზრუნეთ, ბატონებო, მთლიანად ეკონომიკის თუ არა, თუნდაც სოფლის მეურნეობის მოსასულიერებლად (მისი აღორძინება და ფეხზე მყარად დაყენება თქვენს ხელში ერთობ სათუო საქმეა!)!**

მანამდე კი იყიდეთ, ჩქარა იყიდეთ ქართული მიწა, უცხოელებო!

ჩვენზე ნუ იდარდებთ, **ჩვენ, დარჩენილ-გადარჩენილ ქართველებს, მიწა რაში გვჭირდება, თქვენთვის აშენებულ სასტუმროებში მოსამსახურეთათვის გამოყოფილ საკუჭნაოებშიც დავეტევით როგორმე!**

**...ღმერთი არ არსებობს!** – კატეგორიული ტონით უთქვამს თურმე ისრაელში სტუმრად ჩასული ჩემი მეგობრისთვის იქაურ ღრმად მორწმუნე მასპინძელს და, სტუმრისთვის გაკვირვება რომ შეუტყვია, უმალ დაუკონკრეტებია სათქმელი: **ღმერთი რომ არსებობდეს, ასეთ სამოთხისდარ ქვეყანას თქვენ გარგუნებდათ, თქვენ, რომლებმაც არც მისი ფასი იცით და არც ჯეროვნად მოვლა-პატრონობაო?**

**სამწუხაროდ, ასეა და, „იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა“, თან „მუჭა-მუჭა“ კი არა, ერთიანად, ბითუმად!**

**თანაც უთუოდ უნდა იჩქაროთ, უცხოტომელებო, თორემ ხომ ხედავთ, პრეზიდენტი გაფრთხილებთ, ქართული მიწა ცოტა დარჩაო!**

**ამაში შეუმოწმებლად შეიძლება ენდოთ მას, სრულ სიმართლეს ამბობს.**

რუსლან რუსია

◎ გაბაზრებული ეკონომიკა

# „კონკურენტი ვირების“ ბედი...

***ხშირად** გვითქვამს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი მდგენლის – თავისუფალი კონკურენციის ერთგვარი გარანტი, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ფაქტობრივად, არ მოქმედებს. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ვიტყვით, რომ, მართალია, ოდესღაც ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახური არსებობდა, რომელიც, ცხადია, გარკვეულ საკანონმდებლო ბაზასა და კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით მოქმედებდა, მაგრამ ახლა, ამ, პირდაპირ ვიტყვით, სრულიად უსუსური სამსახურის ნასახიც აღარ არის. ადრე მოქმედი, ასე ვთქვათ, „ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა“, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და სპეციალისტთა საყოველთაო აზრით, საქართველოსთვის ევროპისკენ მიმავალ, უფრო სწორად, ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი ზედმეტი „შლაგბაუმია“. არადა ახალი, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობის თაობაზე ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ სავსებით არგუმენტირებულად ლაპარაკობდნენ როგორც სახელისუფლებო უმრავლესობის, ასევე ოპოზიციური უმცირესობის ექსპერტები, საქმეში ჩახედული ხალხი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ამ მიმართულებით ერთი ქმედითი ნაბიჯიც არ გადადგმულა.*



ამასობაში კი, საბაზრო ეკონომიკის ანტიმონოპოლიური კომპონენტის სრული იგნორირებით, „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ და მათთან დაახლოებული პირნი „მოგუდულად“ თუ „მჭახედ“ თავიანთ საქმეს აკეთებენ, ხოლო „ანტიმონოპოლიურ გაზაფხულზე“, როცა „კონკურენტი ვირები“ უკვე დიდი ხნის „დახოცილები“ იქნებიან, მონოპოლისტების შეზღუდვასა და ბაზარზე ჯანსაღი საკონკურენტო გარემოს შექმნას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება. ამასობაში კი უამრავი წვრილ-წვრილი ფირმა გაკოტრდება, მრავალი დღეს დასაქმებული უმუშევარი დარჩება და ვერც ოჯახებს მიაწვდიან სარჩო-საბადებელს.

ნებისმიერ სასაქონლო ბაზარზე პროდუქციის ფასების ზრდა მუდამ რამდენიმე ფაქტორის კომბინაციაზეა დამოკიდებული, თუმცა განსაკუთრებით მგრძნობიარეა ამ მხრივ სასურსათო საქონლის ბაზარი. ბოლო დროს ჩვენში, ფაქტობრივად, თვე არ გადის ისე, რომელიმე სახეობის ფართო მოხმარების კვების პროდუქტზე ფასმა არ მოიმატოს, თანაც საგრძნობლად. ასეა პურსა და პურპროდუქტებზე, შაქარზე, ცხიმებზე, ბოსტნეულზე, ხილზე, ახლა მათ მწკრივში ხორციც აღმოჩნდა.

ცოტა ხნის წინათ, კერძოდ, ოქტომბრის მიწურულსა და ნოემბრის დამდეგს, საქონლის ფასმა ბაზრებსა თუ სპეციალიზებულ მაღაზიებში, ორჯერ და მეტადაც ნახტომისებურად მოიმატა. ეს ამბავი ფირმა „იბერმითის“ მიერ ნატახტარში დიდი ზარ-ზეიმით გახსნილი საქონლის სასაკლაოს ამოქმედებას და, მას შემდგომ, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ ხორცით მოვაჭრე ფირმებისთვის და სასურსათო ბაზრების დირექციებისთვის მიცემული ზეპირ განცხადებას მოყვა ხორცის შესყიდვის ახალი წესის შემოღების თაობაზე.

იხ. 4 გვ.

ვეტერანები

# „პრობლემა ხელკეტებით ვერ გადაიჭრება“

(მეორე გვერდიდან)

**— შეიძლება თუ არა გუშინდელი ფაქტი არასწორ იდეოლოგიურ ნაბიჯად შეფასდეს. მოქმედმა სამხედრო პირებმა დაინახეს, თუ როგორ მოექცა ხელისუფლება ადამიანებს, რომლებმაც იბრძოლეს 1992-1993 წლებში და არმიას სულ მცირე 15 წელი შესწირეს?**

— თქვენი შეკითხვა აბსოლუტურად სწორია. ნებისმიერ გონიერ ადამიანს, რომელიც ახლა ქართულ ჯარში მსახურობს, გაუჩნდება კითხვა, ხვალ რომ ხელისუფლება შეიცვალოს, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება: ვთქვათ, მოვა ახალი ხელისუფლება და იტყვის, რომ არ ვაგებ პასუხს იმაზე, თუ რას დაპირდა წინა მმართველობა სამხედროებს. ნამდვილად ფსიქოლოგიურ დისკომფორტში არიან. საქართველოს ყველა უწყებას უნდა ჰქონდეს ინსტიტუციური მეხსიერება: გინდა თუ არა, მოვალე ხარ ადამიანის წინაშე, ვინც სხვადასხვა დროს გაუშვი საქართველოს ნებისმიერ კუთხეში სამხედრო ამოცანის შესასრულებლად, თუნდაც ავღანეთსა და ერაყში, წარმოიდგინეთ, ვიღაცამ რომ თქვას: ვიღაცამ რომ ჯარისკაცი გაუშვა ავღანეთში, ეს ჩემი პრობლემა სულაც არ არისო. ან ის თავდადებული ადამიანები, ახლა ავღანეთში რომ მსახურობენ, ვთქვათ, ჩამოვიდნენ 2-3 წლის შემდეგ და ისინიც საზოგადოებისგან გარიყონ. ეს განცდა გუშინ დაკავებულ ვეტერანებს ნამდვილად ჰქონდათ. გაიხსენეთ ის პროვოკაციაც: ეროვნული გვარდიის დაღუპული მებრძოლების სურათები ვინც ჩამოხსნა სტენდიდან და სარდაფში გადაყარა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. იმ ფოტოებს შორის იყო დეპუტატ სოსო ქუთათელაძის ძმის ბესო ქუთათელაძის სურათიც. ახალგაზრდა ჩინოვნიკი რომ მოდის და ასე ექცევა ადამიანთა ხსოვნას, სულ მცირე, ადმინისტრაციული სასჯელით არის დასასჯელი.

**— ბევრი საუბრობს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართულ არმიაში ძალიან დიდი წმენდა დაიწყო; რომ სამხედროებმა უცხო ქვეყნის საჯარისო შენაერთებში გადაინაცვლეს, სამხედროთა „წმენდა“ პერმანენტულ ხასიათს იღებს...**

—არის პროცესი, რომელიც გარდაუვალია. ბრიტანეთიც კი, რომელიც კონსერვატორული ქვეყანაა, იძულებული გახდა, 5000 სამხედრო გაეთავისუფლებინა და შტატი შეემცირებინა როგორც არმიაში, ისე — ფლოტსა და ავიაციაში, ეს სულ ახლახან მოხდა. თუმცა, მომხდარის გამო ისინი ქუჩაში არ აღმოჩენილან და სახელმწიფო მათზე ზრუნავს. ქართულ სახელმწიფოსაც უნდა ესმოდეს, რომ საქმე ეხება პროფესიონალ სამხედროს, რომელმაც მთელი ცხოვრება ამ საქმეს შესწირა და მნიშვნელოვანი სოციალური ადაპტაცია სჭირდება სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ. სამხედროთა მარგინალიზება საშიშია, ამ პროცესში ფსიქოლოგები ერთვებიან. არტილერისტები, ქვეითები, სნაიპერები, სხვა სამხედრო სპეციალისტები მთელი ცხოვრება მტრის მოსაგერიებლად ემზადებიან და ერთ დღესაც სახელმწიფო მათზე უარს ამბობს. ადვილი შესაძლებელია, რომ ასეთი ადამიანი მარგინალი გახდეს. რაც გითხარით, ამაზე ბევრი ინფორმაცია არ მაქვს: მხოლოდ ის ვიცი, რომ ერაყში კერძო უსაფრთხოების ფირმების ჩამოყალიბებაში 100-ზე მეტი ქართველი სამხედრო ჩაერთო, რადგან ანაზღაურება ძალიან მაღალი იყო. თუმცა, ეს არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი: შემცირებების ტალღა, რომელიც 2004 წელს დაიწყო, ადრე თუ გვიან მათაც შეეხებოდათ და წინასწარვე დაიჭირეს თადარიგი. სამხედროთა გათავისუფლების პრობლემა ყველგან არსებობს: არ მინდა მაინც და მაინც რუსეთს შევადარო, მაგრამ იქაც დაწყებულია ეს პროცესი: გახსოვთ ალბათ შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი ნაწილის სამხედროთა გამოსვლები. მათ ნაწილს იმიტომ აუქმებდნენ, რომ რუსეთის არმია ბრიგადულ სისტემაზე გადადის. სხვაგანაც მსგავსი პროცესები მიმდინარეობს.

ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები უნდა დააკვირდნენ, რომ არ მოხდეს ვეტერანების და, ზოგადად, ყოფილი სამხედროების გარიყვა და გათიშვა საზოგადოებისგან; უნდა შესთავაზონ სპეციალური პროგრამები, ვინც არ მიიღებს ამ შეთავაზებას, აღმოჩნდება მარგინალი და მას თავად ვეტერანთა საზოგადოება გარიყავს. ახლა ყველაფერი არეულია და ვერავინ ვერავის ვერ ცნობს. ახლა ისე გამოდის, რომ რადგან სახელმწიფო არაფერს აკეთებს, ყველა ვეტერანი მართალია. არადა, შეიძლება ყველა ვეტერანი მართალი და სუფთა წარსულის მქონე არ იყოს. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როგორც კი ეს სოციალური პროგრამები ამოქმედდება, ვეტერანები თავად ამოვლენ თვითმარგინალიზების უფსკრულიდან. გუშინდელმა აქციამ უნდა დააფიქროს ხელისუფლებაც და საზოგადოებაც, რომ დროულად და უმტკივნეულოდ მოხდეს ამ პრობლემების გადაჭრა.

**მალხაზ ჭკადუა**




ამონაკვესი

# მერე რა მოხდა თუ ხალხი შიმშილობს?



**ქვეყანაში არსებულ ვითარებას ყველა ხედავს, ვწერთ, ვიღაცას გულს ვფხანთ, ვაიმედებთ, შევახსენებთ, რომ ვარსებობთ.**

სამაგიეროდ ხელისუფლებას და პრეზიდენტს სჯერათ, რომ პროგრესია, რომ მათი ყველა ჩანაფიქრი ფრთებს ისხამს, რომ კარგად ვცხოვრობთ, წინ მივდივართ, სადაცაა მივეწევით და გავუსწრებთ დემოკრატიის შუქურას. ჩვენს, უფრო სწორად თქვენს მამამარჩენალ ამერიკას. არც ბოლოდან პირველობაა საძრახისი. დიდი ამბავი, ხალხი თუ შიმშილობს, ლუკმაპურის საძიებლად საზღვარგარეთ თუ გარბის, დიდი ამბავი, ნაგვის გროვაში თუ ვინმე საჭმლის ნარჩენებს ეძებს და თუ ქუჩაში ვიღაცას „ჩააძაღლებენ“, თუ რწმენის გამო ვიღაცას ციხეში ჩასვამენ. მთავარია, რომ ვერა ქობალიას წყალობით აყვავებულია ეკონომიკა, ვერა ქობალია იმედებს არ გაგვიმტყუნებთ, ბატონო პრეზიდენტო, და თქვენს ბრძნულ ჩანაფიქრს ფრთებს შეასხამს. ამის ნიშნები უკვე ჩანს, საარსებო საშუალებათა ფასების ზრდა ჭენებით მიჰქრის. არც აქამდე ვიყავით განებივრებული, მაგრამ რა შედარებაა. პური ჩვენი არსობისა გაძვირდა, ეს კი ბიძგია იმისა, რომ მოქალაქე უცხოეთში გადაიხვეწოს და სხვის მონობაში ამოხდეს სული.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვეული გზიდან ამჯერად ცოტა გადაუხვიეთ. უწინ, როცა ფასების გაზრდას განიზრახავდით, იმასაც დასძენდით, პენსიები და ხელფასები მოიმატებსო. ამჯერად კი არც ეს გააკეთეთ. ერთი თეთრითაც არ გაზარდეთ პენსია და ხელფასი, საარსებო საშუალებები კი კატასტროფულად გაზარდეთ. ეს ხალხისთვისაა ტრაგედია, თორემ თქვენ და თქვენს თაყვანისმცემლებს სულაც არ ეხებათ.არც ენაღვლებათ, ვერც იგებენ რაიმე გაძვირდა, თუ გაქრა. იმღერებენ „მიშა მაგარიას“ და გაინაღდებენ მაღალ თანამდებობას. არა, ახლა ჩემსავით და ჩემნაირებივით თუ აფრქვიეს „ცეცხლი და ღვარძლი“, ამით მოიგებენ რამეს?

თავზარდამცემია ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ღმერთის გმობა, სარწმუნოების შელახვა, მორწმუნეთა ციხეში გამოკეტვა. კიდევ უარესი: თქვენ იბრძვით 4-ათასწლოვანი საქართველოს ისტორიის წაშლისათვის, დედა ენის ამოძირკვისათვის. დავით აღმაშენებელს უტოლებთ თავს, ქვეყნის მოჭირნახულედ ასაღებთ თავს, ვითომ ტერიტორიის გამთლიანებისთვის იბრძვით და დედა ენის ამოძირკვაზე კი ოცნებობთ? ბრწყინვალე ჩანაფიქრია, ეს თქვენი ბავშვობის იდეაა, თუ პრეზიდენტობისას გაგიჩნდათ? კომპიუტერი და ინგლისური ენა გააფეტიშეთ. ინგლისიდან „გამოწერილი“ მასწავლებლები თავს მოგვახვიეთ. თან გვიმტკიცებენ, რომ მასწავლებლები არ შემცირდებიანო, უმუშევარნი არ დარჩებიანო. აბა, ქართული ენის მასწავლებლები ინგლისელების ასისტენტებად დარჩებიან გაკვეთილებზე?..

ვთქვათ საჭიროა ინგლისური ენა. კი ბატონო, ამის გამო ქართული — მშობლიური ენა უნდა გავდევნოთ? განა თქვენ, ბატონო მიხეილ, ინგლისური ენით დაიწყეთ სკოლაში სწავლა? ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა ინგლისურით დაიწყეს სწავლა? რომელმა ქართველმა მეცნიერმა არ იცის ინგლისური, ან რომელ ქვეყანაში იწყებენ სწავლას საკუთარი, მშობლიური ენის გარეშე.

ბატონო პრეზიდენტო, მე ვინა ვარ, ამდენს რომ გიბედავთ, მაგრამ როცა საქმე ჩემს მშობლიურ ენას, სარწმუნოებას ეხება, თქვენ კი არა, მთელ მსოფლიოს შევეჭიდები. მით უმეტეს, ერთი არა ვარ. ჩემს წინ მთელი საქართველო, ქართველი ერი, ღვთის მორწმუნე ხალხი დგას.

როცა აღმაშენებლის საფლავთან დადექით — საქართველოს გამთლიანება-აღორძინების ფიცი დადეთ, თუ მისი დაქუცმაცების, მისი გასხვისების, ამოძირკვის? ამაღელვებელი და შთამბეჭდავია თქვენი ბრძნული აზრები: „მინდა გითხრათ, რომ საქართველოში უფრო მეტი ქართველი მუსლიმანია, ვიდრე ქრისტიანი ქართველი, იმიტომ რომ თურქეთსა და ირანში ცხოვრობს რამდენიმე მილიონი მუსლიმანი ქართველი“ და ა. შ. და თქვენ ამას, რა თქმა უნდა, მიესალმებით, ბატონო პრეზიდენტო! ან კიდევ: „სკოლებში ქართული ცეკვის გაკვეთილები დაინერგება, ჩვენი ბავშვები ცეკვას ისწავლიან იმ დონეზე, რომ საკუთარ ქორწილში ცეკვა შეძლონ. მაგალითად მე ის ვერ შევძელი და მრცხვენია“.

ქართველი ბავშვებისთვის მთავარი დედა ენაა და არა ცეკვა. თქვენ კი ჩვენი 3-ათასწლოვანი ენის აკრძალვას იწყებთ, სკოლებში ინგლისურს შეასწავლით. და ადამიანს, რომელსაც დედა ენას დაავიწყებენ, ამოუძირკვავენ სასკოლო პროგრამებიდან, მიესალმება ქართული ცეკვის შესწავლას?

ყველაზე ძლიერი მეფეები ბავშვებსაც უსმენდნენ, სიბრძნეს გლეხებისგან და მდაბიოებისგანაც სწავლობდნენ. ბრძენი კაცი არასოდეს დაელევა საქართველოს, ყველას მიუგდეთ ყური, აკრიფეთ ხალხში გაბნეული მარგალიტები. არაფერს წააგებთ.

და ბოლოს, ყველაზე დიდმა სათაყვანებელმა ქართველმა დაგვიბარა: „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, და რომლის ყურისგდება ხელისუფლების უწინარესი ვალია.

**ზინა ლობჟანიძე,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, პერსონალური პენსიონერი, ღირსების ორდენოსანი.**

გლობუსი

# აშშ-ს მთავარი პრობლემა უდიდესი საგარეო ვალი — 13 ტრილიონი დოლარი!..

**დადგა ახალი წელი, ახალი იმედების, ახალი სურვილების ასრულების წელი. საქართველოს მოსახლეობა, მიუხედავად განვლილი წარუმატებელი პერიოდისა და არანაკლებ პესიმისტური პროგნოზებისა, სადღაც გულის კუნჭულში ფიქრობს, რომ ახალი წელი სიკეთეს, ბედნიერებას, წარმატებებს მოუტანს მას და არა მარტო მას, არამედ ქვეყანას, რომლის კარგად ყოფნაც თავისთავად განაპირობებს მოსახლეობის კეთილდღეობას.**

ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის ბედნიერება არა მარტო ამ ორი კომპონენტის ჰარმონიულ განვითარებას ეფუძნება, არამედ მესამე კომპონენტსაც – სხვასთან ურთიერთობას. გლობალიზაციის ხანაში ნაკლებად წარმოსადგენია რომელიმე ქვეყნის იზოლირებული განვითარება, რამეთუ თვით ცხოვრების მიერ დაწესებული კანონები იმ საშინაო დავალებას წააგავს, რომლის შესრულება ყველასთვის სავალდებულოა. წელგამართული ქვეყანა დავალებას თავისებურად ასრულებს – საკუთარი შეხედულებებიდან, მრწამსიდან გამომდინარე. საქართველო ასეთთა რიგებს არ მიეკუთვნება. ის უფრო იმათ რიცხვშია, საკუთარი რომ ნაკლები აქვს და ამ დეფიციტს მდიდარზე ჩამოკიდებით ავსებს. ასეთ „ვეშოლკად" საქართველოსთვის აშშ-ია.

ოფიციალური განცხადებით აშშ-ის დამოკიდებულება საქართველოსადმი არის „სტრატეგიული", მაგრამ თუ რა დამოკიდებულება აქვს თვით მას სიტყვა „სტრატეგიულის" მიღმა, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსისთვისაც გამოცანაა. ის, რაც ზედაპირზეა ერთობ დასამშვიდებელია, როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ისე მის ირგვლივ მყოფი საზოგადოებისთვის. ზედაპირზე კი ის საკითხებია, რომლებიც პოზიტიურად განაწყობს ქართველობას: ტერიტორიული მთლიანობის საკითხში უყოყმანო მხარის დაჭერა, დეოკუპაციის თემის საყოველთაო განსჯისათვის წამოწევა, ნატოსკენ სწრაფვაში ხელის შეწყობა, სამხედრო მშენებლობის საქმეში დახმარების გაწევა, ეკონომიკურ-ფინანსური დახმარების აღმოჩენა და სხვა.

ყველა აღნიშნულ თემას საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია და მადლობის მეტი მას არაფერი ეთქმის. ამასთანავე ჩნდება კითხვა – რისთვის ყოველივე ეს? **თანამედროვე მსოფლიოში, სადაც საბაზრო მენტალიტეტი დომინირებს, საქველმოქმედო საქმესაც არავინ აკეთებს მოგებაზე ფიქრის გარეშე. მაინც რა არის ის მოგება, რაც ესოდენ ხიბლავს აშშ-ს? უპირველეს ყოვლისა, საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა, მისი ტერიტორიული სიახლოვე კასპიის ზღვის ენერგეტიკულ რესურსებთან, პოტენციურ მოწინააღმდეგე რუსეთთან მეზობლობა, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გავლენის მოპოვებისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენება, მტრადშერაცხულ ირანთან ტერიტორიული სიახლოვე და სხვა. და რაც ყველაზე მთავარია — ფეხის მოკიდება მის მიერ გამოცხადებული სტრატეგიული ინტერესების ზონაში. აშშ-ს უღირს საქართველოსთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური დახმარების გაწევა. თანაც ეს დახმარება გაცილებით მცირეა, ვიდრე ამერიკელთა აქ ყოფნიდან გამომდინარე დივიდენდები.**

რას აძლევს საქართველოს საზოგადოებას ამერიკული დაინტერესება?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა არცთუ იოლი საქმეა. ზოგი თვლის, რომ საქართველოს, აშშ-ის სახით, ისეთი მეგობარი და მფარველი ჰყავს, სხვა რომ უბატონოდ ხმას ვერ გასცემს, მათ შორის „სტრატეგიული" მტერი რუსეთიც. საქართველოსთვის ამერიკა არის პროგრესი ყველა დარგის – ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, წარმოების კულტურის, ხელოვნების განვითარებისათვის.

**ზოგი კი თვლის, რომ ის, რაც მანკიერია საქართველოში და ასეთი ძალიან ბევრია, ამერიკის ბრალია. სწორედ მისი ძალისხმევით წყალი შეუდგა ქართულ კულტურას, ტრადიციებს, თვითმყოფადობას, დაიკარგა ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი. ამ „ზოგს" სჯერა, რომ არა ამერიკელთა წაყრუება ან წაქეზება, სააკაშვილი ვერ გაბედავდა რუსეთთან ომს, ვერ ჩაეხუტებოდა ჩეჩენ ბოევიკებს, ვერ დართავდა მათ ნებას გაწვრთნილიყვნენ საქართველოს სამხედრო ბაზებზე, ვერ გახსნიდა ანტი-**



**რუსულ კავკასიურ რადიოტელევიზიას ჩრდილო კავკასიელთა „გამოსაღვიძებლად".**

ნეგატივი ბევრია. უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. ამერიკით უკმაყოფილოთა უკმაყოფილებაში ბევრი სულაც არ შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტურად. ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკელთა მიმართ უკმაყოფილებას საქართველოს ხელისუფლებისადმი განუხრელი მხარდაჭერის გამოც გამოხატავს. მისი აზრით სწორედ ოფიციალური ვაშინგტონი იყო ის, ვინც გაყალბებული არჩევნების გზით მმართველობა შეანარჩუნებინა სააკაშვილს. ამ „ზოგს" ჰგონია, რომ აშშ მომავალშიც გააგრძელებს სააკაშვილის მხარდაჭერასა და მოჩვენებითი გულისწყრომის ფონზე, თვალს დახუჭავს მომავალი არჩევნების შედეგებზე, სააკაშვილის გაპრემიერებაზე. ვაშინგტონისთვის სააკაშვილი ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც ცუდად-კარგად შეუძლია ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნება. ქართული ოპოზიცია აშკარად ვერ ახდენს ვაშინგტონზე ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც ეს მას ჰგონია. ვაშინგტონის თვალში ოპოზიცია ათი თავით ჩამოუვარდება სააკაშვილს და მართლაც, ოპოზიციიდან რომელი ერთი შეძლებს გარკვეული თუ გაურკვეველი ამერიკული წრეების დავალებების შესრულებას, ისე, როგორც სააკაშვილი. ხუმრობა ხომ არ არის ჩრდილო კავკასიის ანტირუსული აფეთქება და ამ საქმისათვის ერთიანი კავკასიური სახლის, კავკასიის კონფედერაციის, ჩერქეზთა გენოციდისა და დიდოელთა დახმარების თემის აგორება?

დაიწყო ახალი წელი და მასთან ერთად მეორე დეკადა – ახალი გამოწვევების, ახალი პრობლემების წლები. შეიძლება ორი სტრატეგიული პარტნიორი – ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების მოგვარება? ეს კითხვა ორივეს აწუხებს თუმცა წუხილი ორივესთვის დიამეტრალურად განსხვავებულია. საქართველოსთვის სანატრელია მისი დიდი პარტნიორის პრობლემები. ცხადია, როდესაც ყოფნა-არყოფნას ეთამაშები სხვაზე ფიქრი ძნელია.

დიდი პარტნიორიც ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას, მაგრამ ეს ყოფნა-არყოფნა განსხვავებულია საქართველოს ყოფნა-არყოფნისგან. დიდი პარტნიორს სულაც არ აქვს გადარჩენის პრობლემა. მისი პრობლემა მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერობის შენარჩუნებაა.

ორწლიანმა ეკონომიკურმა კრიზისმა საბაზრო ეკონომიკას, საერთოდ კაპიტალიზმს წყალი შეუყენა. ეკონომისტთა გათვლით კრიზისიდან სრული გამოსვლისთვის 4-5 წელი იქნება საჭირო და ისიც თუ ამ პერიოდის განმავლობაში ახალ გამოწვევებს ადგილი არ ექნება. გასულ წელს ამერიკას მიჩერებულმა მოკავშირეებმა ვერ მიიღეს რა მისგან საგნობრივი გადაწყვეტილება კრიზისთან დაკავშირებით, მძაფრი კრიტიკა აგემეს მას.

**ამერიკა-ევროკავშირში გაჩენილი პრობლემების ფონზე თვალსაჩინო სტაბილურობა იგრძნობა კომუნისტურ ჩინეთში. ამ გიგანტმა, ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოების დონით უკან ჩამოიტოვა იაპონია და აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოში. იმ შემთხვევაში თუ ჩინეთის ეკონომიკა გააგრძელებს სწრაფი ტემპით სვლას, ახალი დეკადის ბოლოს ის უკან ჩამოიტოვებს აშშ-ს. აშშ დაკარგავს ეკონომიკური ელმავლის ტიტულს, მასთან ერთად ერთპოლუსიანი მსოფლიოს ლიდერობას.**

მაინც რა არის აშშ-ის მთავარი პრობლემა? უპირველეს ყოვლისა, უდიდესი საგარეო ვალი – 13 ტრილიონი დოლარი. ვალის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი სამხედრო ხარჯია. **აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი აჭარბებს ყველა მოწინავე ქვეყნის ერთად აღებულ სამხედრო ბიუჯეტს. სახელმწიფო ხარჯების გაზრდის საქმეში უარყოფითი წვლილი, სწორედ სამხედრო ხარჯებმა შეიტანეს, განსაკუთრებით ერაყ-ავღანეთში წარმოებულმა ომებმა, გარდა ამისა, საბანკო სისტემასა და ავტოსამშენებლო მრეწველობის გადარჩენისათვის ფედერალური ბიუჯეტიდან გაღებულმა თანხებმა.** სახელმწიფო შემოსავლებმა საერთო ეროვნული პროდუქტის 17 პროცენტამდე დაიკლო, გასავალი 27 პროცენტით გაიზარდა. სხვაობა იფარება საგარეო სესხით და ფულის ბეჭდვით, მაგრამ დიდხანს ამის გაგრძელება კატასტროფული იქნება. რით შეიძლება დაფაროს აშშ-მა ვალი? უპირველეს ყოვლისა გადასახადების გაზრდით და ხარჯის შემცირებით. ამ ვარიანტს არც ამომრჩეველი და არც ბიზნესი მხარს არ დაუჭერს. მეორე ვარიანტი – ფულის მოჭრის გაზრდაა და მასთან ერთად ჰიპერინფლაციის გაჩენა. ამ ვარიანტის მიმდევარ ნებისმიერ ადმინისტრაციას სახალხო უკმაყოფილება წალეკავს. მესამე ვარიანტი – აშშ-ის გაკოტრების გამოცხადებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში უცხოელები შეეცდებიან საზღვარგარეთ არსებული ამერიკული აქტივების დაპატიმრებას. ეს რომ არ მოხდეს, აშშ-ს მოუწევს სამხედრო ძალით თავის დაცვა. არის კიდევ ერთი ვარიანტი – სხვა ქვეყნებს შეაწეროს სამხედრო ძალების შენახვა, განსაკუთრებით საზღვაო ტერორიზმის და მეკობრეობისგან თავდაცვის მიზნით. ჩინეთი და იაპონია უმეტესწილად დამოკიდებული არიან საზღვაო ტრანსპორტით ნედლეულის იმპორტზე, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი, განსაკუთრებით ჩინეთი კი ამერიკელთა სამხედრო დახმარებით აგვარებდეს ამ პრობლემას. რას მოიმოქმედებს მსოფლიოს პირველი ქვეყანა პირველობის შესანარჩუნებლად სერიოზული განსჯის საგნად იქცევა მიმდინარე დეკადაში. ერთი რამ ნათელია, სხვა ქვეყნების დაუხმარებლად მას გაუჭირდება პრობლემების დაძლევა და თუ ეს მოახერხა დაინახავს, რომ მის გვერდით სხვებიც დგანან, არანაკლებ ძლიერნი, რომელთა აზრის გათვალისწინება უდავოდ მოუწევს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

გაბაზრებული ეკონომიკა

# „კონკურენტი ვირების" ბედი...

(მესამე გვერდიდან)

ამის შესახებ „სრ" წერდა 18 ნოემბრის ნომერში. მკითხველს მაინც შევახსენებთ, რომ, ფაქტობრივად, ხელისუფლების აშკარა ხელშეწყობით, რგოლში – ხორცის მწარმოებელი-დისტრიბუტორი-მომხმარებელი – ძალით „ჩაჯდა" „იბერმითი", ვინაიდან ამიერიდან საქონელი მაინცდამაინც მის კუთვნილ ნატახტრის სასაკლაოზე თუ არ დაიკვლება და დამუშავდება, რის შესახებ პროდუქციას სათანადო საბუთი უნდა ახლდეს, მას ვერც ხორცის მწარმოებელი, ვერც დისტრიბუტორი ოფიციალურად ვერ გაყიდის. მაგრამ იქნებ მიამიტურად იკითხოთ – „იბერმითი" რიღასთვის ჩაჯდა ათწლეულობით მწყობრად მოქმედ სისტემაშიო? რისთვის, ბატონო, და ფულის საკეთებლად, თან ხორცის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის დასაკავებლად, რაც კიდევ უფრო მეტი ფულის გაკეთების საშუალებას მისცემს. სადღეისოდ კი, „იბერმითი" ხორცით მოვაჭრე ფირმებისა თუ ინდივიდუალური მეწარმეების, ფაქტობრივად, ერთპიროვნული მიმწოდებელი გახდა, ვინაიდან ხორცის დამუშავების ექსკლუზიური უფლება, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა სახელისუფლებო ინსტიტუტების ხელშეწყობით, მის კუთვნილ ნატახტარის სასაკლაოს აქვს – **ეს ფირმა, სადღეისოდ, საქონელსაც თავად იღებს და ამუშავებს, თანაც დისტრიბუციაც მთლიანად ხელში აქვს ჩაგდებული.**

ახლა, ვფიქრობთ, სავსებით ცხადია, თუ რამ გამოიწვია ხორცის ფასის ნახტომისებური მატება, თუმცა, მართალია, ცოტა ხანში მან ისევ მოიკლო, მაგრამ ძველ ნიშნულს, ცხადია, აღარ დაუბრუნდა, რადგან უკვე ნახსენებ რგოლში ახალი მეწილე „შეეტენა". ამან მთლიანად შეცვალა ხორცის მომხმარებლამდე მიწოდების სისტემა და ეს, ბუნებრივია, ფასზეც აისახა.

ყველაზე მეტად მთელ ამ ამბავში, ცხადია, „იბერმითია" ნასიამოვნები, რომელიც ბოლო დროს საკუთარ მაღაზიათა ქსელის შექმნასაც შეუდგა, რაც, ძნელი მისახვედრი არაა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის უქონლობის პირობებში, მას „წვრილფეხა" კონკურენტების თავიდან მოშორების კარტ-ბლანშს აძლევს, თუნდაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ხორცის დემპინგური ფასად გაყიდვის გზით.

მსოფლიო ეკონომიკამ და, ზოგადად, სამართლებრივმა სისტემამ, მშვენივრად უწყის იმის შესახებ, თუ როგორ სარგებლობენ ისინი, ვისაც გარკვეული მოქმედება ხელს აძლევს, კანონმდებლობაში არსებული თითქოს თვალით დაუნახავი ნასვრეტით. ანტიმოპოპოლიური კანონმდებლობის უქონლობით კი საქართველოში ნასვრეტი კი არა, ნამდვილი ამოუვსები „შავი ხვრელია", რომლის მიღმა ისევ ძველი ნაცნობი ლანდების ლაციცია.

საქონლის ხორცის ბაზარზე სადღეისოდ არსებული ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო იმძლავრებს, რადგან „იბერმითის" ნატახტარის სასაკლაოს სულ მცირე კიდევ ორი მოჰყვება ახლო მომავალში, ამასობაში მაღაზიების ქსელიც გაიმართება და გამოვა, რომ ბაზარზე ერთი ძლევამოსილი მონოპოლისტი გვეყოლება, რომელიც თავის დაკრულზე „გვაცეკვებს" ყველას.

**ოთარ ტურაბელიძე**

№ 3. ხუთშაბათი, 6 იანვარი, 2011 წელი.

◎ „უცნობი ომი“

# დისკრიმინაცია ეროვნული კუთვნილების მიხედვით - უპირველესად ჩეჩნებისა და ქართველებისთვის

**წინა საუკუნეში, როცა ამერიკის დემოკრატმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ჩინეთში ყოფნისას ერთ-ერთ უნივერსიტეტში სტუდენტების წინაშე მაღალ იდეალებზე — ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე — მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, ოკეანისგაღმელმა სტუმარს ეს „თავხედობა“ ეპატია.** აშშ-ის ლიდერი თავის დემოკრატიულ სამშობლოში დაბრუნდა, აღფრთოვანებული ჩინელი სტუდენტები კი შეიკრიბნენ, შესაბამის სტრუქტურებს თავისი არასამთავრობო ორგანიზაციის დასარეგისტრირებლად და ადამიანის უფლებების დასაცავად მიაკითხეს, რის გამოც არადემოკრატიული პასუხი მიიღეს — მათ 10-10 წელი მიუსაჯეს. არავინ იცის იმ საბრალოთა ბედ-იღბლის შესახებ. სავარაუდოდ ისინი ციხიდან უკვე გამოვიდნენ და, ალბათ, ნანობენ კიდეც, კლინტონს რომ დაუჯერეს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სულაც არ ნანობენ. რას ან ვისგან გაიგებ ამხელა ქვეყნის „უჩინარების“ ბედ-იღბალზე? რეალურად, ჩინურ არაეკონომიკურ ამბებსა და კიდევ სხვა ბევრ რამეს ვერ ჩავწვდებოდით, რომ არა Human Rights Watch-ის მსგავსი თითოოროლა ორგანიზაციის ანგარიშები. თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ ექს-გულანთებულები სიამაყით იხსენებენ ციხეში გატარებულ ათ წელიწადს, თუმცა „შეცდომის“ განმეორებას აღარ აპირებს. თუმცა ვინ იცის?...

დღეს დამოკრატ ბარაკ ობამას მისი კრიტიკოსები პრეზიდენტისეული სოციალური რეფორმატორული შეტევების ტალღაზე ბილ კლინტონის წარუმატებლობას შეახსენებენ, კონკრეტულად კი იმის გამო, რომ ობამა სამედიცინო სფეროში სახელმწიფოს ჩარევის გაზრდას ცდილობს, რათა ამით ყველა ამერიკელს სრულფასოვანი სამედიცინო დაზღვევა ჰქონდეს. კლინტონის დროს ეს კეთილშობილი იდეა მარცხით დასრულდა. თუმცა ეს არა იმდენად აშშ-ის საგარეო პოლიტიკას ეხება, რამდენადაც ქვეყნის შიდა სამზარეულოსა და პრეზიდენტის რეიტინგს. წელიწადში ერთხელ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც აქვეყნებს ანგარიშს სხვა ქვეყნებში „შიდა დემოკრატიის“ ხარისხის შესახებ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანა თავისუფლების არა ზოგადი, არამედ კონკრეტული მდგომარეობა უფრო არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების ღირსი ხდება, ვიდრე — სამთავრობოსი. რუსეთში ობამას ვიზიტამდე HRW-მა მასპინძელ ქვეყანაზე ანგარიშიც გამოაქვეყნა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ციტატები ამ „რეპორტიდან“ ობამას თავის რუს კოლეგისთვის დიდად არ შეუხსენებია, რადგან სამიტზე უფრო „დიდ და გლობალურ საკითხებზე“ უნდა შეთანხმებულიყვნენ. თუმცა ისევე, როგორც ჩინეთში კლინტონის გამოსვლა, ობამას ტექსტიც ხაზს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს კვლავ უსვამდა.

ამერიკის პირველმა აფროამერიკულმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ აშშ-ში ყოფნის დროს თავისი ლექციის წარმოთქმის ადგილად მოსკოვში „ეკონომიკის ახალი სკოლის“ აუდიტორია და არა პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი აირჩია. ალბათ, მისი ყურადღება სიტყვებმა „ახალი“ და „ეკონომიკა“ მიიპყრო. რუსულმა მედიამ კი ამერიკის ლიდერის სიტყვის საკვანძო ფრაზები ისე სათავისოდ „გადათარგმნა“, რომ მისი ნამდვილი ავტორი ველარასოდეს მიხვდება, რომ რუსულად ინტერპრეტირებული წინადადებები ოდესღაც მისი ტექსტის ნაწყვეტები იყო. მხოლოდ იმ „ახალი ეკონომიკური სკოლის“ ინგლისურად მოუბარი სტუდენტები თუ გაიგებდნენ ობამას ინგლისურს პირდაპირი მნიშვნელობით, თარჯიმნების გარეშე. ჰოდა, ახლა, მგონი, მივაგენი იმ ფარულ მიზეზს, რის გამოც მაღალმა სტუმარმა თავისი „სფიჩისთვის“ სწორედ ეს სასწავლო დაწესებულება აირჩია... იმედია, ახალგაზრდა რუსები ჩინელი სტუდენტების ბედს არ გაიზიარებენ. ამერიკული „ღამის შოუს“ წამყვანი კი მეორე დღეს ხუმრობდა: ობამას, ალბათ, ის სკოლის ტრიბუნიდან რუსებისთვის 4 მლრ. რუბლის სესხების თხოვნით მიმართვა უნდოდაო. ხუმრობაც დროის შესაბამისია, რადგან ეკონომიკური რეცესია საერთაშორისო ვალუტის სამშობლოში კვლავ არ კარგავს აქტუალობას. რაც შეეხება კრემლში ობამას ვიზიტის გაშუქებას, აშშ-ის ტელევიზიას ამისთვის დიდად არ ეცალა. 6-7 ივლისს ამერიკა მაიკლ ჯექსონს ეთხოვებოდა. ასეა თუ ისე, ცივი ომის მოქმედი გმირების მთავარი „სახელმწიფო ქმრები“ ერთმანეთს შეხვდნენ, ობამამ კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვასა და ატომური იარაღის არსენალის შემცირებაზე საუბრის გარდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს დაუმსახურებელი კომპლიმენტიც უმისამართა, თანაც იმის შესახებ, რომ პუტინმა ბევრი რამ გააკეთა ქვეყნისთვის, როცა იგი პრეზიდენტი იყო, რომ იგი რუსი ხალხის რჩეული იყო. ობამას ვერ მოსთხოვ უცხო ქვეყნის „საშინაო საქმეებში“ ისეთ ჩარევას, როგორიც ეს კლინტონმა გააკეთა, როცა, ფაქტობრივად, ჰაიტიში მთავრობის ჩამოგდებას შეუწყო ხელი. თუმცა დიდი სახელმწიფოები იმისთვის არიან დიდები, რომ თავიანთი ზომაწონა და ატომურობა საერთო „წერტილების“ მოძიებაზე დაკარგული დროის არგუმენტად მოიყვანონ. „სხვა წერტილები“ კი კვლავ „სხვად“ დარჩებიან. აშშ-ის პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, იგულისხმებოდა (იგულისხმებაძ თუ არა ვლადიმერ ვლადიმერის ძე ჩეჩენი ხალხის რჩეულად. ჩეჩნეთის ომის აქტიური ფაზები ხომ უმეტესად რესპუბლიკელი ბუშის პრეზიდენტობის დროინდელია, მათ შორის საქართველოს მიწაზე 2008 წლის აგვისტოში გაჩაღებული დაპირისპირებაც. ისე კი ჩეჩნების დამცველი ორგანიზაცია — „ნეთვორკები“ ამერიკაშიცაა და ამ ხალხის ტრაგედიაზე სპექტაკლებიცა და ფილმებიც (მარტინ კემფბელის ფილმი „საზღვარს იქით“ ანჯელინა ჯოლისა და კლაივ ოუენის მონაწილეობითძ იქმნება. თუმცა ესეც იქვე რჩება, სადაც იქმნება. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კინო-თეატრების სივრცეში.

* * *

**ელენა მაგლევანნაია** ახალგაზრდა რუსი პოეტი და ჟურნალისტია (აგვისტოს ომის დროს რუსულენოვან მედიაში საქართველოს მხარდამჭერ წერილებს ბეჭდავდაძ, რომელმაც ჩეჩნების ტრაგედიასა და რუსეთში მათ დევნაზე არაერთი სტატია და ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა. იგი იბეჭდება რუსულ გამოცემაში „სვობოდნოე სლოვო“ და „პატიმართა უფლებების დაცვის ფონდის“ მაცნეში, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ გამოცემებში, აქვს თავისი ბლოგი. მისი ბოლო სტატიების სერია რუსეთის ციხეში, რომელსაც იგი რუსულ საკონცენტრაციო ბანაკს უწოდებს, ჩეჩენი ზუბაჟრ ზუბაჟრაევის წამების ფაქტებს ეხებოდა. რუსმა ჟურნალისტებმა და ადამიანის უფლებების დამცველებმა ელენას მხარდასაჭერად მძლავრი და დროული კამპანია ააგორეს. ციხის ადმინისტრაციამ კი მაგლევანნაიას „ცილისწამების“ უარყოფა მისივე სტატიის გამოქვეყნებით მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმითა და კიდევ სხვა „არასანქცირებული“ სასჯელებით დაემუქრა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ელენას სიცოცხლესა და თავისუფლებას მართლაც სერიოზული საფრთხე შეექმნა, ამიტომ ერთი თვის წინათ იგი იძულებული შეიქმნა ქვეყანა დაეტოვებინა და ფინეთისათვის შეეფარებინა თავი. მე მას ჰელსინკში დავუკავშირდი და ვთხოვე განემარტა უცხოეთში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზი.



— მე გაუთავებლად მემუქრებოდნენ. განსაკუთრებით მას მერე რაც გამოვაქვეყნე ციხეში ზუბაჟრაევის წამების ფაქტების ამსახველი წერილების სერია. მოხდა ისე, რომ ციხით აქეთ დამემუქრნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის კოდექსებით უნდა გავესამართლებინე იმისთვის, რომ უარს ვამბობდი ჩემივე ტექსტის უარყოფაზე — მითხრა ელენა მაგლევანნაიამ. — მე ამ უარყოფას არასოდეს დავწერდი, რადგანაც ჩემს სტატიებში თითოეული სიტყვა აბსოლუტურად სიმართლეს შეესაბამებოდა. გარდა ამისა მე დამემუქრნენ რუსეთის ნაციონალისტური ორგანიზაციები მხოლოდ იმის გამო, რომ ჩეჩენს გამოვექომაგე. ახლა უსაფრთხოდ ვარ და შემიძლია ჩემი საქმიანობა გავაგრძელო.

**— ემიგრაციისთვის ფინეთი რატომ აირჩიეთ?**

— ერთი თვის წინათ ფინეთში ადამიანის უფლებების დამცველ კონფერენციაზე გახლდით მიწვეული და ჩასვლისთანავე პოლიტიკურ თავშესაფრის მისაღებად განცხადებაც დავწერე. თანაც მომეწონა ფინეთი. იგი თავისუფალი, ევროპული ქვეყანაა. აქ ყველას შეუძლია შიშის გარეშე იცხოვროს და იმუშაოს, ამიტომ ჩემი შეხედულებების გამო „თეთრ ყვავად არ ვგრძნობ თავს. ფინეთში ჩეჩნებს კარგად ეპყრობიან და საერთოდ ადამიანებს ეროვნების მიხედვით არ არჩევენ. რუსეთში კი ყოვლისმომცველი შიშია. ჩემი შთაბეჭდილებით, ფინეთში ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს.

**— ჩეჩნეთში თითქოს აქტიური საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს, მაგრამ ეს ომი ისევეა, თუმცა „მოგუდულად“. ასე არ არის?**

— ჩეჩნების დიდი ნაწილი ციხეში ჩეჩნეთის პირველ და მეორე ომში მონაწილეობის გამო ზის. მათ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის „მძიმე“ მუხლებით ასამართლებენ — ტერორიზმი, ბანდიტიზმი, „უკანონო სამხედრო ფორმირებებში“ მონაწილეობა. ამ მუხლებით მათ მინიმუმ 12 წელს აძლევენ, მაქსიმუმ — სამუდამო პატიმრობას. ძალიან ბევრია ის, ვისაც 20 წელი მიუსაჯეს და უფრო მეტი, ვისაც სამუდამო პატიმრობა ელის. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩეჩნებს სისხლის სამართლის კოდექსით ასამართლებენ, მაშინ როცა ისინი სამხედრო ტყვეები არიან. განაჩენის გამოტანის შემდეგ ყველას რუსეთის შორეულ რეგიონებში აგზავნიან, ხოლო პირობები, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, უმძიმესია. ჩეჩენ პატიმრებს კოლონიის ადმინისტრაცია განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობა. ისინი საშინელ იზოლატორებში იმყოფებიან, სადაც სინესტე და აუტანელი სიცივეა. ამის გასასამართლებლად კი კოლონიის ხელმძღვანელობა ჩეჩნების მიერ ციხის რეჟიმის არარსებულ დარღვევას იშველიებს. ჩეჩენ პატიმრებს არ აქვთ ახლობლებთან შეხვედრისა და მათნგან რაიმეს მიღების უფლებაც კი, მათ ძალიან ხშირად სცემენ და სხვადასხვა ველური მეთოდებით აწამებენ. ამიტომაც ციხეში ჩეჩნების სიცოცხლის ხანგრძლივობა ხანმოკლეა. აუტანელი პირობების გამო ისინი მძიმედ ავადდებიან, ხოლო სიკვდილის გამომწვევ მიზეზად ციხის ადმინისტრაცია „უცნობ ფაქტორს“ ასახელებს.

**— რუსეთის ციხეებში წამების მეთოდს მხოლოდ ჩეჩნების წინააღმდეგ იყენებენ?**

— რუსეთის ციხეებში წამება ზოგადად მიღებული პრაქტიკაა. მაგრამ ჩეჩნები — ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. ვერ იპოვით ჩეჩენს ციხეში, რომელიც დისკრიმინაციას თავისი ეთნიკურობის გამო არ განიცდის. ჩეჩნები კოლონიის თანამშრომლების სახით თავის ძველ მტრებს ხვდებიან, იმათ, ვის წინააღმდეგაც ადრე ჩეჩნეთში იბრძოდნენ. რუს ჯარისკაცებს კი ჯარში მსახურების დასრულების შემდეგ, სადიზმისა და ძალადობის უნარ-ჩვევები ახალ სამსახურში გადააქვთ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რუსეთის ციხის სისტემაში არსებობს დაუფარავი დისკრიმინაცია ეროვნული მიკუთვნებულობისდა მიხედვით და ეს ეხება უპირველესად ჩეჩნებსა და ქართველებს.

**— კავკასიელებს გამოძიების დროსაც აწამებენ თუ „დედოვშჩინა“ მხოლოდ სასამართლოს შემდეგ ციხის საკანში მოხვედრისას იწყება?**

— გამოძიების სტადიაზე მათგან აღიარებით ჩვენებას მოიპოვებენ იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც მათ არასოდეს ჩაუდენიათ. აიძულებენ ცრუჩვენება ვიღაცის წინააღმდეგ მისცეს. სასამართლოს მერე კი მთელს ღვარძლს ჩეჩნებზე ანთხევენ, ამცირებენ ყოველგვარი მიზნისა და მიზეზის გარეშე, უბრალოდ საკუთარი სიამოვნებისთვის. ამას სჩადიან ისინი, ვინც ჩეჩნეთში რუსეთის მხარეს იბრძოდა.

**— ასეთი ბრალდებებით რამდენი ჩეჩენი ზის ციხეში და რამდენი ჟურნალისტი ტოვებს რუსეთს თავისი პროფესიული საქმიანობის გამო?**

— არაოფიციალური მონაცემებით რუსეთის ციხეებში 22 ათასი ასეთი ჩეჩენი პატიმარია. რაც შეეხება ჟურნალისტებს, ამდაგვარი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ პრეცენდენტები არის. მაგალითად, ლონდონში ცხოვრობს ელენე ტრეგუბოვა, მოსკოველი ჟურნალისტი. იგი იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო მას მერე, რაც თავს დაესხნენ. ფინეთში კონფერენციაზე კი ჩემთან ერთად ნომერში ფატიმა ტლისოვა ცხოვრობდა. ძალიან კარგი ჟურნალისტი, რომელიც კავკასიურ თემებზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე წერდა. ადრე იგი ნალჩიკში ცხოვრობდა, მაგრამ იძულებული იყო ამერიკისთვის შეეფარებინა თავი, რადგან მას გაუთავებლად ემუქრებოდნენ ის ადამიანები, ვის დანაშაულებრივ ქმედებასაც იგი ამხელდა. ის კი არა მის მოკვლასაც არაერთხელ შეეცადნენ...

მე უკვე კარგად ვიცი, თუ რა უნდა ვაკეთო და როგორი იქნება ჩემი მომავალი: უნდა დავეხმარო იმათ, ვინც რუსეთში დარჩა ანუ როგორც ჟურნალისტმა ვწერო და ვიმუშაო, ვიმუშაო და ვიმუშაო...

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ.**

ნოდარ დუმბაძის გახსენება



# ვით გედის სიმღერა...

**ნოდარ დუმბაძესთან ბოლო შეხვედრა სამუდამოდ დამამახსოვრდა და სიკვდილამდე მემახსოვრება. შეხვედრა შედგა გარდაცვალებამდე ორი თუ სამი თვით ადრე გულრიფშში, კარლო კალაძის აგარაკზე.**

სუფრას ვუსხედვართ კარლო, ნოდარი და ჯანო ჯანელიძე. სულ მალე ევტუშენკომ შემოყო თავი. მასაც, როგორც ნოდარს, კარლოს გვერდით ჰქონდა აგარაკი. ნოდარმა ჩაილაპარაკა – აჰა, „დარმავოი" მოვიდა, ყნოსვა აქვს ამ მაღლიანსო. ნოდარმა ის იგულისხმა, რომ ევტუშენკოს ჯიბეში არასოდეს ჩაუყვია ხელი. არ გასულა 5-10 წუთი და ზღურბლი ვანო თარბამ გადმოლახა. ნოდარმა ისევ ჩაილაპარაკა, აჰა, კიდევ ერთი „დარმავოიო". მერე დაამატა, ყნოსვის მხრივ ევგენის არ ჩამოუვარდებაო. ვანოსაც უჭირდა საკუთარი ჯიბის მიგნება.

ლხინი კარგა ხანს გაგვიგრძელდა. ბოლოს სუფრიდან ავიშალეთ. ჭიშკართან ნოდარმა კარლოს ბოლო ცოლს (იგი ლეკი იყო, დედით ბაგრატიონიძე უხმო და ყანწი გამოატანინა. ჯერ თვითონ გამოცალა, მერე ჩვენ გვაიძულა. ახლაც ვფიქრობ, ბედისწერა იყო-მეთქი ალბათ. ნოდარს ხომ ორჯერ ჰქონდა ინფარქტი გადატანილი. შევთვერი და მეგრული სიმღერა წამოვიწყე, „აბა ულა". რა დამავიწყებს, ზუსტად ვყვებით, ნოდარმა მუცელზე მუცელი მომარტყა და მითხრა, შენ რა იცი მეგრული სიმღერა, მე გიმღერებო. და წამოიწყო... „ვალოლა, ვალოლა, ცოდა რე, ძღაბი ბაბუში მოთა რე". სამეგრელოდან ვარ, გამოხოხებული მეგრელი კი ვარ, მაგრამ ის სიმღერა იმ დღეს პირველად გავიგონე ნოდარისგან.

მესამე დღეა.

სოხუმის სტადიონზე ამხანაგური მატჩი ტარდება თბილისისა და ადგილობრივ „დინამოს" შორის. მატჩს ვესწრებით ნოდარი, მისი ბიძაშვილი ანზორ დუმბაძე (სოხუმის გამწვანების უფროსიძ და თქვენი მონამორჩილი. მატჩის შემდეგ ნოდარს ვუთხარი, ცოტა ყელი გავისველოთ-მეთქი. შეუძლოდ ვარო, მიპასუხა. ცუდი ფერი კი დაჰკრავდა სახეზე. ჩაუჯდა ანზორს მანქანაში. გულრიფშისკენ აიღეს გეზი. მე კი სახლში წავედი.

საათიც არ გასულა და ანზორ დუმბაძე მომადგა სახლში. არიქა, მანქანაში ჩამიჯექიო, მეუბნება. გულრიფშისკენ გავწიეთ.

ანზორი მიყვება გზაში:

–სახლამდე მივიყვანე. დავემშვიდობე და წამოვედი. გულმა არ მიქნა, მივტრიალდი. გავიხედე... ჭიშკართან წევს. ცუდად გამხდარიყო.

გულრიფშში მივედით თუ არა, ცნობილი კარდიოლოგი ყიფშიძე დაგვხვდა. ხალხის ტევა არ იყო.

მას აქეთ აღარ მინახავს. ის მეგრული სიმღერა გედის სიმღერა გამოდგა ნოდარისთვის. თუმცა არა! როგორც მერე გავიგე, საავადმყოფოში უმღერია ბოლო სიმღერა, გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად.

ღმერთმა გაანათლოს ნოდარის სული. ცხონებული მხოლოდ დიდი მწერალი კი არა, დიდი ადამიანი და პიროვნება იყო.

**ანზორ გვარამია**

ბიუჯეტი, ჩქარა!

# ზუგდიდის ბიუჯეტი წინასაახალწლოდ, ღამის 10 საათზე დაამტკიცეს!

**ახალი წლის წინა დღეებში ზუგდიდის ბიუჯეტი საკრებულოს არასოდეს დაუმტკიცებია, რადგან საკრებულოს შეეძლო ბიუჯეტი მარტშიც და აპრილშიც კი მიეღო, თანაც გამგეობას საკრებულოსგან არასოდეს არავითარი წინააღმდეგობა არ ჰქონია.**

ამჟამინდელ საკრებულოს, წინასგან განსხვავებით, გაზრდილი უფლებები გააჩნია, ამიტომაც ბიუჯეტთან თუ სხვა საკითხებთან მიმართებაში, შესაძლებელია, საკრებულოსა და გამგეობას შორის დაპირისპირებაც მოხდეს.

გავრცელებული ვერსიით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ზაზა გოროზიას მოთხოვნით და ზუგდიდის გამგეობის ძალისხმევით წინასაახალწლოდ სასწრაფოდ და საგანგებოდ იქნა მოწვეული საკრებულოს სხდომა და ღამის 10 საათზე მიიღეს ზუგდიდის 2011 წლის ბიუჯეტი. პროტესტის ნიშნად სხდომა მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელმა, ირაკლი ალასანიას ბიძაშვილმა გია ალასანიამ დატოვა.

საკრებულოში ამ სხდომის სასწრაფოდ მოწვევას იმით ხსნიან, რომ ახალი კანონმდებლობით ბიუჯეტის მიღების ვადები შეზღუდული ყოფილა და ასევე არ შეჩერებულიყო ტენდერები და შესყიდვები. საკრებულოში იმასაც აცხადებენ, რომ ბიუჯეტი მხოლოდ პირველი მოსმენით, პირობითადაა მიღებული და საბოლოოდ 20 იანვარს დაამტკიცებენო!

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან.

7 იანვარი – კავშირგაბმულობის დღე

# ეკონომიკის სტრატეგიული დარგი

**კავშირგაბმულობა მრავალდარგოვანი სისტემაა. თითოეულ ქვედარგს წარმოშობის, განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ამიტომ ამ დარგში უამრავი სადღესასწაულო თარიღია. შთამბეჭდავი ფაქტია, რომ პირველი სატელეგრაფო კავშირი 1858 წლის ზაფხულში თბილისსა და კოჯორს შორის დამყარდა. პირველი ტელეფონი საქართველოში, კერძოდ თბილისში, ამუშავდა 1882 წელს „კავკაზის" რედაქციასა და სტამბას შორის;**

პირველი ტელეგადაცემები თბილისში დაიწყო 1956 წლის დეკემბერში.

საფოსტო კავშირი ყველაზე უძველესი დარგია, რომელიც სათავეს თითქმის ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებიდან იღებს...

ამდენად, კავშირგაბმულობის ყველა დარგის დაარსების დღე მნიშვნელოვანია და შესაბამისად აღინიშნება იგი ჩვენს ქვეყანაში.

არის ერთი შედარებით ახალი საზეიმო თარიღი, რომელიც ყველა ქვედარგს ერთნაირად ეკუთვნის და იგი უდიდეს დღეს – ქრისტეშობის დღესასწაულს, 7 იანვარს ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ორგანულად ინტეგრირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება, რაც, ერთი მხრივ ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტიაა, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის გაწეული მომსახურების მაღალ დონეს და თავდაცვისუნარიანობას.

სწორედ ეს მოთხოვნები იდო საფუძვლად 1999 წლის 7 იანვარს მსოფლიოს საერთაშორისო ელექტროკავშირის ორგანიზაციაში საქართველოს როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის აღიარებას და მისთვის საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კოდის – 995-ის მინიჭებას. ამით განხორციელდა საქართველოს საერთაშორისო ქსელში პირდაპირი ჩართვა რუსეთის გვერდის ავლით. ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარების ინიციატორი გახლდათ კავშირგაბმულობის და ფოსტის მაშინდელი მინისტრი ფრიდონ ინჯია.



მეოცე საუკუნის ბოლოს მსოფლიო კავშირგაბმულობის ინდუსტრიამ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და სტრატეგიული ცვლილებები განიცადა. მისი როლი მოწინავე ქვეყნების ეკონომიკურ სტრატეგიაში პრიორიტეტულია. საქართველოს კავშირგაბმულობის ქსელი მსოფლიო გლობალური ინტეგრირებული ქსელის შემადგენელი ნაწილი გახდა. თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრდა ერთაშორისი თანაარსებობის იდეა როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ თვალსაზრისით ტელეკომუნიკაცია ადამიანთა, ერთა, სახელმწიფოთა დაახლოების განმსაზღვრელი პირობაა.

მართალია, დღეს აღარ არსებობს კომუნიკაციების ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო, მაგრამ სამაგიეროდ ქვეყანაში ჩამოყალიბდა თანამედროვე მძლავრი, კონკურენტუნარიანი, ახალი ტექნიკით აღჭურვილი და ახალი სახის მომსახურების, ერთი მეორისგან დამოუკიდებელი ოპერატორები. კერძოდ: **„სილქნეტი", შპს „ახალი ქსელები", „საქართველოს ფოსტა", შპს „ახტელი", შპს „ჯორჯია ონლაინი", „მაგთიკომი", „ჯეოსელი", „ბილაინი"** და სხვანი, რომლებიც მაღალნაყოფიერად მოღვაწეობენ, ნერგავენ მსოფლიოში მიღებულ გამოცდილ და აპრობირებულ ახალი სახის ტექნიკასა და ტექნოლოგიებს. იქმნება კონკურენტუნარიანი გარემო, რომელიც კარგადაა შეხამებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კოდის – 995-ის მინიჭებამ.

მინდა ტელეკომუნიკაციების ყველა მუშაკს მივულოცო „კავშირგაბმულობის დღე" 7 იანვარი, ქრისტეშობის უდიდესი დღესასწაული და ყველას ვუსურვო წარმატებები საერთო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.



**მამია სულაბერიძე,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავშირგაბმულობის დარგის და შრომის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

ინფორმაცია

## ცხინვალი საერთაშორისო რეისებს გეგმავს

**ცხინვალი** სოხუმის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების მიმართულებით პირდაპირი „საერთაშორისო" რეისების შესრულებას გეგმავს.

ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსმა სერგეი ვალიევმა განაცხადა.

მისი განმარტებით, სამმართველო ამ მიზნით 15 ახალი ავტობუსის შეძენას გეგმავს.

## აზერბაიჯანი ყარაბაღის დაბრუნებას ომით აპირებს...

**აზერბაიჯანი** მზადაა გამოიყენოს ნებისმიერი საშუალება იმისათვის, რათა თავისი ტერიტორიები დაიბრუნოს. ეს განცხადება აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა მექსიკურ გაზეთთან „The News"-თან საუბარში გააკეთა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ აზერბაიჯანის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება სამხედრო საშუალებები, ისე როგორც ეს იყო წინათ – გადაწყვეტილება შეიძლება სამხედრო გზის სასარგებლოდ იქნეს მიღებული.

– იმ შემთხვევაში, თუკი დიპლომატიური მეთოდები შედეგს არ მოიტანს, მაშინ დიახ, ჩვენ მზად ვართ ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად ნებისმიერი საშუალება გამოვიყენოთ, – განაცხადა მამედიაროვმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი – აზერბაიჯანის ყველაზე დიდი პრობლემაა.

– ჩვენი ტერიტორიის თითქმის 20 % ოკუპირებული აქვს სომხეთს. 1992 წელს კი სომხეთის ჯარმა ხოჯალაში მთელი სოფელი გაანადგურა. ჩვენ ცდა არ დაგვიკლია იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოება საქმის კურსში ჩაგვეყენებინა და ეს საკითხი გაეროს გენერალურ ასამბლეამდე მიგვეყვანა, – აცხადებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მისივე თქმით, ხანდახან გლობალურ პოლიტიკაში არსებობს ორმაგი მიდგომების სტანდარტი და ეს არასამართლიანია.

– იმისათვის, რომ ჩვენი ხმა გაიგონონ, ჩვენ ძლიერი სახელმწიფო უნდა ვიყოთ და სწორედ ამიტომაც ვმუშაობთ ჩვენ ასე აქტიურად საერთაშორისო საზოგადოებასთან. აზერბაიჯანის პრიორიტეტი ხომ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებაა სომხური ოკუპაციის შესახებ, – აცხადებს მამედიაროვი.

მისივე თქმით, სამწუხაროდ საერთაშორისო შუამავლები, კერძოდ, აშშ, რუსეთი, საფრანგეთი არ ახორციელებს შესაბამის ზეწოლას სომხეთზე.

– სამართალი ჩვენს მხარესაა. დღეს კი აზერბაიჯანი ცდილობს ყველას დაანახოს, რომ დრო არ მუშაობს სომხეთის სასარგებლოდ. თავის მხრივ სომხები კი თავის ძალისხმევას უსარგებლო ბრძოლაში ფუჭად ხარჯავენ. ისინი მომავალზე არ ფიქრობენ, – აცხადებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი.

## ბათუმში აზერბაიჯანის საკონსულო გაიხსნა

**ბათუმში** აზერბაიჯანის გენერალური საკონსულო ამოქმედდა. ამის შესახებ გენერალურმა კონსულმა გუსეინ ნაჯაფოვმა თავის პირველ, ოფიციალურ მიღებაზე განაცხადა.

საკონსულო ბინას დუმბაძის №14 დაიდებს და მისი მთავარი ფუნქცია აზერბაიჯანელი მოქალაქეების ინტერესების დაცვის გარდა, ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა მიმართულებით არსებული ურთიერთობების გაღრმავება იქნება.

ცოტა ხნით ადრე, 4 ნოემბერს კი ბათუმში, დუმბაძის ქ.№16-ში კიდევ ერთი - ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალურისაკონსულო გაიხსნა. ოფიციალურ შეხვედრებზე საუბარი დიპლომატიური უწყების გახსნის პარალელურად ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებას შეეხება.

ჯი-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ასეთი პრივილეგიით მხოლოდ დალაი ლამამ ისარგებლა...

**ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროპის პარლამენტში სიტყვა წარმოთქვა. ამას არავითარი გაოცება არ გამოუწვევია, რადგან სახელმწიფოთა მეთაურები და პრემიერ-მინისტრები ევროპარლამენტში თითქმის ყოველ თვეს გამოდიან, მაგრამ ეს მიხეილ სააკაშვილისთვის ევროპარლამენტში მეორე ვიზიტი იყო. აქამდე ასეთი პრივილეგიით მხოლოდ დალაი ლამამ ისარგებლა**

სააკაშვილი ასევე ეწვია საგარეო ურთიერთობათა საბჭოს და ბევრი ქვეყნის პარლამენტართან დისკუსიებსა და ამომწურავ დებატებში უპრეცედენტო პროევროპული გულღიაობა გამოამჟღავნა. ყოველგვარი ეჭვის გარეშეა ის, რომ ეს იყო საინტერესო სიგნალი ევროპული შეტევისა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. ევროპული პარლამენტი ასეთ სიგნალებს შეუნიღბავი კმაყოფილებით მიესალმება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ევროპა კავკასიაში შექმნილი სიტუაციისადმი ცხოველ ინტერესს ამჟღავნებს. ევროპის პარლამენტი იყო მთავარი ფორუმი იმ ქართველებისთვის, რომელთაც სურდათ თავისი ქვეყნის გარდაქმნისკენ მიმართული ძალისხმევის დემონსტრირება და საკუთარ პოლიტიკურ არგუმენტებში ევროპის დარწმუნება. ერთი ყურადსაღები ფაქტი საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში ისაა, რომ მან საერთაშორისო პოლიტიკაში დრამატულად შეცვალა რიტორიკა და პრიორიტეტები. ანტირუსი მებრძოლის იმიჯი შეცვალა იმიჯმა დახელოვნებული მენეჯერისა, რომელიც მუდმივად ცდილობს თავისი ქვეყნის გარდაქმნას და ისე ეფექტიანად ახორციელებს რეფორმებს, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანას შეშურდებოდა. საზეიმო დეკლარაცია ძალის გამოყენებისგან თავის შეკავების შესახებ რუსეთთან დამოკიდებულებაში და სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წასვლის სრული მზადყოფნის გამოცხადება შეიძლება კავკასიაში გარდამტეხ ეტაპად იქცეს მშვიდობის დამყარების გზაზე.

### ეკონომიკური რევოლუციის ქვეყანა

*საქართველოს ეკონომიკამ, რომელიც 2008 წელს რუსეთის შემოჭრას გადაურჩა, ამავე მასშტაბის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაამტკიცა, რომ განსაკუთრებულად ჯანსაღია და ჯერჯერობით მსოფლიო ფინანსურ კრიზისს გასაოცრად კარგად გაუმკლავდა.*

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველომ განახორციელა ბევრი ლიბერალური, დემოკრატიული და ბიზნესის ხელშემწყობი რეფორმა, რომელთა მიზანი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების შექმნა იყო. 2004 წლის შემდეგ, საქართველომ ბიზნესი უპრეცედენტო ფორმით გაათავისუფლა ბიუროკრატული პროცედურებისგან და მაქსიმალურად გაამარტივა ის ფორმალობები, რომლებიც ბიზნესის დაწყებას უკავშირდება. კომპანია შეიძლება სულ რაღაც ერთ დღეში დარეგისტრირდეს, რაც ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვისაც კი უპრეცედენტოა, ხოლო წესები ერთნაირია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მეწარმეებისთვის. იგივე ითქმის უძრავი ქონების შეძენასა და რეგისტრაციაზე. საგადასახადო სისტემაც რეფორმირებულ იქნა და შემოღებულ იქნა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი 20%-ის ოდენობით (2013 წლიდან 15%-ძ. მიუხედავად გადასახადების დრამატული შემცირებისა, ხუთჯერ გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. მთავრობა იმ ლიცენზიებისა და ნებართვების 85%-ით შემცირებას გეგმავს, რომლებიც ბიზნესის წარმოებისთვისაა აუცილებელი. მსოფლიოში ყველაზე დაბალი საბაჟო გადასახადის დაწესებით, საქართველომ თავისუფალ და შეუზღუდავ ვაჭრობას გაუხსნა კარი. აქ საქონლის ექსპორტსა და ტრანზიტზე არ არსებობს რაოდენობრივი შეზღუდვა. უფრო მეტიც, საბაჟო სისტემაში რადიკალური რეფორმები დაიწყო: ექსპორტისა და იმპორტის გამარტივებული პროცედურები და მოდერნიზებული საბაჟო გადასახადების სისტემა პრაქტიკაშია დანერგილი.

3 წელიწადში საქართველო იმ ქვეყნიდან, სადაც ენერგეტიკული დეფიციტი ჩვეული რამ იყო, ელექტროენერგიის ექსპორტიორ ქვეყნად იქცა და ყველა თავის მეზობელს, მათ შორის რუსეთსაც ამარაგებს და ბოლო მიღწევა, რომლითაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მართლაც შეუძლია იამაყოს: საქართველომ საჯარო სექტორში განხორციელებული რეფორმებით (სახელმწიფო პროკურატურა, სასამართლო სისტემა და პოლიციაძ პრაქტიკულად მთლიანად აღმოფხვრა კორუფცია სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკაში. შედეგად, განსხვავებით ესოდენ ბევრი აღმოსავლეთევროპული ქვეყნისგან, საქართველოში ქრთამის მიცემა იშვიათი გამონაკლისია. Transparency International-ის მიერ მომზადებულ დოკუმენტში, 2009 წლის კორუფციის ბარომეტრი, საქართველო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულ ქვეყნების რიგს მიაკუთვნებს.



საქართველო ამჟამად დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნადაა მიჩნეული. უკრაინაში ჩემი ვიზიტის დროს, პრემიერ-მინისტრ აზაროვისგან საყურადღებო სიტყვები მოვისმინე: „თუ ეკონომიკაზე ვილაპარაკებთ, ჩვენ გვინდა საქართველოს კვალს გავყვეთ“. ინვესტორები საქართველოსადმი სულ უფრო მზარდ ინტერესს ამჟღავნებენ. ბათუმის რეგიონში ტურიზმში დაგეგმილი ინვესტიციები შთამბეჭდავია. საქართველოს ეკონომიკურ პარტნიორთა ჯგუფი მრავალფეროვანია და მასში შედიან კომპანიები ევროკავშირიდან, აშშ-დან და თურქეთიდან. 2004-2007 წ.წ. საქართველოს ეკონომიკა ყოველწლიურად 9%-ით იზრდებოდა.

### დასავლური ტიპის დემოკრატია

*ბოლო მუნიციპალური არჩევნების შესახებ დასავლელი მეთვალყურეების, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის ანგარიშებშიც კი საქართველო შექებულია. ცენტრალური და აღმოსავლეთევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, არ ყოფილა მნიშვნელოვანი შენიშვნები საარჩევნო პროცედურასთან, კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურასთან, საარჩევნო კამპანიასთან, მედიის ხელმისაწვდომობასთან და ხმების დათვლის ზედამხედველობასთან დაკავშირებით.*

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილმა სამეთვალყურეო მისიებმა განაცხადეს, რომ საქართველომ განიცადა არსებითი პროგრესი დემოკრატიულ პროცესებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით. ოპოზიცია პარლამენტის ფარგლებში და მის გარეთ თავისუფლად ოპერირებს. როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნები პრეზიდენტის პარტიამ მოიგო, პრეზიდენტ სააკაშვილს ვერ დააეკისრება ვერავითარი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ შინაგანი განხეთქილებითა და უთანხმოებით დაღდასმულმა ოპოზიციამ, მმართველი პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ თბილისის მერის არჩევნებში 9 კანდიდატი წამოაყენა.

### საქართველო ევროპის კავშირში?

*ამ ბოლო წლებში, მიუხედავად ისეთი გადაუწყვეტელი პრობლემებისა, როგორიცაა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ოკუპაცია, ჩვენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა მნიშვნელოვანი პროგრესის მოწმენი გავხდით. ეს ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს მრავალმხრივ და ორმხრივ თანამშრომლობაში „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში. ეს პროგრამა პოლონეთისა და შვედეთის მიერაა ინიცირებული. საქართველომ ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებაზე დაიწყო მოლაპარაკება, მან ხელი მოაწერა ვიზების გამარტივების, რეადმისიის ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს სასოფლო-სამეურნეო და სხვა საკვები პროდუქტების მარკირების, საერთო საჰაერო სივრცის შესახებ. საქართველოს მთავრობამ გადადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების მისაღწევად.*

თავის მხრივ, ევროკავშირი ასრულებს მნიშვნელოვან როლს საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ძირითადად იმიტომ, რომ საზავო შეთანხმების მიღწევის პროცესში მედიატორის როლს ასრულებდა. ევროპის კავშირის სამეთვალყურეო მისიას (EUMMძ – ამჟამად ერთადერთ საერთაშორისო სამეთვალყურეო მისიას საქართველოში – რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეაქვს წვლილი. ევროკავშირი აქტიურად მონაწილეობს ჟენევის მოლაპარაკებაში, მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ემხრობა არაღიარების პოლიტიკას რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფი სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებთან დაკავშირებით. ფართოდაა აღიარებული, რომ საქართველო კულტურის, ისტორიის, პოლიტიკის, ევროპული ღირებულებებისადმი, წესებისა და მიზნებისადმი პატივისცემის კონტექსტში ევროპის ნაწილია. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ საქართველოსთვის სრული ინტეგრაცია ევროპის კავშირში გრძელვადიან და სტრატეგიულ ამოცანად იქცა. ჩვენი თვალსაზრისითაც, საქართველოს ევროკავშირში გაწევრება ნამდვილად შეუწყობდა ხელს დემოკრატიულ პროცესებს, ეკონომიკურ რეფორმებს, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას როგორც თავად საქართველოში, ასევე მის მეზობლებში. საქართველო იმსახურებს ნამდვილ ევროპულ პერსპექტივას. „აღმოსავლეთის პარტნიორობამ“ უნდა უზრუნველყოს ყველა საშუალება ამ მიზნის მისაღწევად და განხილვის ობიექტად გახადოს ყველა ექვსი წევრი ქვეყნისადმი ინდივიდუალური მიდგომის საკითხი.

### საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტების გადაწყვეტა – შეუსრულებელი მისია?

*საქართველოს რუსეთთან მისი ამჟამინდელი ურთიერთობის გამო ევროკავშირში გაწევრების არავითარი შანსი არა აქვს. ბევრმა ევროპელმა პოლიტიკოსმა განაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ, მაგრამ ვერ გარისკა მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერით მოსკოვთან ურთიერთობათა გაუარესებაზე წასვლა. კარგია, რომ საქართველო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ევროკავშირთან თანამშრომლობას ცდილობს. მხოლოდ ასე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი საზავო შეთანხმების შესრულება და ოკუპირებული ქართული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარების გამოყვანა. საქართველოს მთავრობამ შექმნა ეროვნული სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და სამოქმედო გეგმა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებებს შორის უნდა აღდგეს ომით დარღვეული რწმენა. სტრატეგიის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მოქალაქეები ისეთივე უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ, როგორც საქართველოს ყველა დანარჩენი მოქალაქე.*

ამ რეგიონების მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ დატოვა თავისი სახლები და ლტოლვილად იქცა. ახლა ისინი იმ დროებით საცხოვრებლებში ცხოვრობენ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო დახმარებით ააშენა. დღეს ევროკავშირი საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში საკვანძო როლს ასრულებს. EUMM დღეს ერთადერთი საერთაშორისო სამეთვალყურეო მისიაა, რომელიც ქვეყანაშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ მისიას არ მიეცა იმ ტერიტორიებზე თავისი მანდატის სრული განხორციელების უფლება, რომელსაც რუსული ჯარი აკონტროლებს, მან მოახერხა ნამდვილი წარმატების მიღწევა მშვიდობის უზრუნველყოფასა და შეიარაღებული ინციდენტების აღკვეთაში. ჟენევის მოლაპარაკება ქმნის რუსეთის დარწმუნების საშუალებას იმაში, რომ EUMM გარდაიქმნას სამშვიდობო ძალად, რომელიც შეცვლიდა რუს ჯარისკაცებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ეს გეგმა არის, როგორც შეუსრულებელი მისია, მაგრამ მისი წარმატება ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად იქცეოდა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვა და ჩემი კოლეგა პარლამენტარების მიერ გაცემული პასუხები იმის რწმენას აჩენს, რომ ეს შესაძლებელია.

**კშიშტოფ ლისეკი,**

ევროპარლამენტის წევრი „სამოქალაქო პლატფორმის“ საარჩევნო სიიდან, საქართველოს საკითხების დიდიხნის მიმომხილველი ევროპარლამენტში.

NEW EUROPE

## დედამიწის ზურგზე



**უკრაინის ექსპრემიერი ტიმოშენკო კვლავ გამოიძახეს გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე**

ტიმოშენკო, რომელსაც ბრალი ედება ხაზინის გაფლანგვაში, აყენებს შემხვედრ ბრალდებებს: მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიითვისეს სახელმწიფო სახსრების უზარმაზარი თანხები, აცხადებს იგი.

* * *

**ჩინეთს თავს დაატყდა ძლიერი სეტყვა: ევაკუირებულია 22 ათასზე მეტი კაცი**



200-ზე მეტი სახლი გაიყინა და ჩამოინგრა, კიდევ 1,4 ათასზე მეტი სახურავი საბინაო ნაგებობებისა, დაზიანებულია მათში ყინულის დიდი ნატეხების გაჩენის გამო. უამინდობის გამო დაზარალდა 1,8 მილიონი კაცი, ზიანი მიადგა დაახლოებით 80 ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს. ეკონომიკური ზარალი შეფასებულია 45 მილიონ დოლარად.

* * *

**ობამა ჰონოლულუდან ვაშინგტონს დაბრუნდა და მზადაა რესპუბლიკელებთან პოლიტიკური ბატალიებისთვის**

ოთხშაბათს მუშაობა დაიწყო კონგრესის ახალმა შემადგენლობამ. წარმომადგენელთა პალატა ნოემბრის დასაწყისში მოწყობილი არჩევნების შედეგად გადავა რესპუბლიკელების კონტროლქვეშ, სენატში დემოკრატები დარჩებიან უმრავლესობაში, თუმცა მათი პოზიციები არსებითად შესუსტდება.



* * *

**გვატემალის ნარკომაფიამ განიცადა 2 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის ზარალი**

ნარკოტიკების გარდა, პოლიციამ გასულ წელს ამოიღო 144 ავტომანქანა, 1 მსუბუქი თვითმფრინავი, 2 სწრაფმავალი კატარღა, 185 ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთა ღირებულებაც 963 ათასზე მეტი დოლარია. დამნაშავეებისგან ამოღებული ნაღდი ფულის ოდენობამ 2,4 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

* * *

**მასობრივი დაღუპვის მიზეზი შაშვებისა, რომლებიც წვიმასავით ჩამოცვივდნენ ამერიკის ქალაქის თავზე, იყო ფეიერვერკი**

მთლიანად ქალაქ ბიბში, არკანზას შტატში, ჩამოცვივდა სამი ათასზე მეტი შაშვი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ფრინველებს ისე შეეშინდათ პეტარდებისა და ფეიერვერკების ხმაურისა, რომ დაკარგეს ორიენტაცია სივრცეში და ეჯახებოდნენ სახლებს, მანქანებსა და ერთმანეთს.



◉ სევდიან-იმედიანი რეპორტაჟი

# ...და დგებოდა ღამე — სასწაული...

დიდუბის ავტოსადგურიდან საცაა უნდა გავიდეს ჩვენი ავტობუსი ქუთაისისკენ. ირგვლივ რუზრუზი და რია-რიაა — ამაღამ ქრისტეშობაა და ყველა თავის სახლში მიიჩქარის, ძლივს ამოაქვთ ჩანთები, გასასვლელში იჭედებიან...

„ეს ჩემი ადგილია, აი ბილეთი!“ — თავზე ადგას კეპიანი მამაკაცი სათვალიან ქალს, რომელსაც უკვე დაუწყია კროსვორდის შევსება ერთ-ერთ გაზეთში. „ჩემ ბილეთზეც ხომ ეს ადგილია!“ — ბილეთს უჩვენებს ქალი. „ოხ, მე მაგათი დედა ვატირე... გამატარეთ, გამატარეთ, ერთ ადგილზე ორი ბილეთი გაუყიდიათ!“

ჩასასვლელთან ტყავისქურთუკიანი მაღალ-მაღალი მძღოლი დგას და კევს იცოხნება. „მალე წავალთ?!“ — ეკითხება „დვოინიკი“ — ჩემ ადგილზე სხვა ჯდანა, კაცო!.. გილზე დაჯდომაში შველის, „რა იყო, რა ხდება?“ — კითხულობს და თან ავტობუსს ქოქავს: „ყველანი ვართ?! წავედით!“ ამასობაში „დვოინიკიც“ ამორბის: „გამიცვალეს ბილეთი, კიდო აქეთ დამდეს ბრალი“, — აქოშინებული ეუბნება მძღოლს.

„ვერ შემოიხედე, ბიჭო, სალონში? გაძარცვეს ქურდებმა აქაურობა!“ — საყვედურობენ მძღოლს. „ყურადღებით უნდა იყოთ, ყურადღებით!.. ხო ხედავთ, არეულია ქვეყანა!“ — მძღოლი კევის ღეჭვას განაგრძობს და ცოტა ხანში ბენზინგასამართ სადგურთან აჩერებს ავტობუსს. „რა იყო, ბიჭო, თბილისში ვერ ჩაასხი? გვაგვიანდება ჩვენ!“ — მძღოლს საყვედურობს ვიღაცა. „ნუ მასწავლი მე, სად ჩავისხა და რა გავაკეთო!“ — არ იბნევა მძღოლი და ბენზინმომარაგებული ავტობუსი ნელ-ნელა გამოჰყავს ბენზინგასამართი სადგურიდან. „ჩააქრეთ სიგარეტი, რა ხდება, რა ამბავია!“ — უკანა რიგში მოკალათებული ბიჭების გასაგონად ამბობს ერთ-ერთი ქალბატონი. იქ ბიჭებს უკვე გაუშლიათ მცირე პურ-მარილი, პლასტმასის ჭიქებში არაყს ისხამენ, საქართველოს ადღეგრძელებენ, უკეთეს შობა-ახალწელს უსურვებენ, მისი ერთიანობისთვის დაღუპულ ვაჟკაცებს იხსენებენ და სასმელს მწნილსა და ყველს აყოლებენ. თან სიგარეტს აფუილებენ. ერთ-ერთი ბიჭი დგება და ქალთან მიდის. „რა იყო დეიდა, რა დაგიშავეთ?“ „ვერ ატყობთ, რომ ხალხი შეაწუხეთ?“ — არ ეპუება ქალი. — „აბა, ერთი, ვნახავ, ვის ვაწუხებთ“, — ბიჭს უკვე გვარიანად მოჰკიდებია არაყი. „თქვენ გაწუხებთ, უფროსო?“ — ეკითხება იქვე მჯდომ ბაკენბარდებიან კაცს. „მე რას მაწუხებთ, რაც გინდათ ის ქენით!“ „თქვენ გაწუხებთ, ბიძაჩემო?“ — ახლა მეორე კაცს მიადგა ბიჭი, რომელიც თვალმილულული ზის, ვითომ სძინავს და არაფერი ესმის. თვალებს ახელს: „რა იყო?“ „აქ ჩვენ, თურმე, ხალხს ვაწუხებთ, მართალია?“ „მე მეძინა, რა ვიცი“... „ძალიან კაი“, — და სასმელმოკიდებული ბიჭი ისევ იმ „ბუნტარ“ ქალთან მიდის: „გეიგე დეიდა?... არავინ არ წუხდება... და შენ ჭკვიანად იყავი“. „ვინ იყოს, შე უზრდელო, ჭკვიანად!.. მე ვიყო ჭკვიანად?! ამ მობილურს ხო ხედავ, ამ წუთში დავურეკავ საპატრულო პოლიციას, აქვე იქნებიან სადმე ტრასაზე და ჩაგყრიან შენ და შენს მეგობრებს ძირს!.. სხვათა შორის, ეს თქვენი პაპიროსის კვამლის სუნი, რაღაცა სხვა სუნს მაგონებს, მე ექიმი ვარ და არ მეშლება!“



*„ოცდახუთსა
დეკემბერსა
ქრისტე
იშვა
ბეთლემსაო!..“*

გავარკვევ ერთი!“ „მიდი, მიდი მალე... ახლა ამას უცადე!..“ „რა ვქნა, ავიდე?!“ — მოთმინებადაკარგული ეკითხება მძღოლს იქვე მდგომი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სამიოდე წლის ბუთხუზა ბიჭი აუტატებია, მეორე ხელით კი ჩანთა უჭირავს. „მაცალე, მაცალე... შეივსოს და დაგაჯენ მერე წინ... წამოდი, ეს ჩანთა საბარგულში დავდოთ!“

ავტობუსში შუახნის ზორბა კაცი შემოდის, მძღოლის კაბინის სიახლოვეს ორი ახალგაზრდა ბიჭი დგას. მგზავრებს ათვალიერებენ, ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. „გამოდიხარ, ბიძია?“ — ეკითხებიან ზორბას. ისიც ცდილობს ამ ბიჭებში გამოეტიოს, მაგრამ უჭირს. „აბა, გამოდი, გამოდი!“ — ვითომ ეხმარებიან ბიჭები, თან, ერთ-ერთი, ჯიბეში ოსტატურად უცურებს ხელს. კაცი გზას მიიკვლევს თავისი ადგილისკენ და ერთ-ერთი ქალის გვერდით ჯდება. აქეთ-იქიდან თანაგრძნობით შეჰყურებენ. ბიჭები სალონის ბოლოში ვიღაცას გასძახიან: „ჩამოდი, წავედით, წავედით!“ და ჩადიან. „გაასუფთავეს“ ავტობუსი ამ ნაბიჭვრებმა!“ — ჩაილაპარაკა ვიღაცამ. „აბა, კაცო, აბა! ნახე, რა „ნაგლად“ „მუშაობდნენ?“ ფანჯარასთან მჯდარი ქალი ზორბასკენ იხრება და ჩუმად ეუბნება: „თქვენ, წეღან, ფული ამოგაცალეს... აბა, ნახეთ, ჯიბეში“. ზორბა შარვლის ჯიბეებს იჩხრეკს. „მართლა წაუღიათ მაგ შობელძაღლებს“, — ამბობს გაფითრებული. „შემოსასვლელში რომ გამჭედეს, ალბათ, მაშინ ამომიღეს“.. „ბევრი იყო?“ — ცნობისმოყვარე თვალებით შესცქერიან მეზობლები. „იყო რა... ღორის ხორცი ჩამოვიტანე გასაყიდად... ავადმყოფი ბავშვი გვყავს სახლში“. ზორბა აგრძნობინებს, თავი დამანებეთო, საზურგეს მიეყრდნობა და თვალებს ხუჭავს, თავის ფიქრებში მიდის. გასუსული ავტობუსი უკვე გულმოცემული აყაყანდება: „აბა, უყურე, კაცო! ესაა, წესრიგი დავამყარეთო?!. ეს მძღოლი მაინც რას აკეთებს, რატო უშვებს ამ ოხრებს ავტობუსში?“ „მძღოლმა რა იცის!“ „ვინ არ იცის, შეკრულები არიან მაგათთან“. უკანა რიგებში ქალი აკივლდება: „უიმე, ჩემი ხელჩანთა გაუხსნიათ... შობა არ გაუთენდეთ მაგათ!“

მძღოლი უკვე ამოსულა. ახალგაზრდა ქალს ბავშვს ართმევს და იქვე, წინა ადბიჭი ფითრდება, ველარაფერს პასუხობს და თანამეინახეებთან ბანცალ-ბანცალით მიდის. ისინიც, „კაი ბიჭო, შარზე ხარო?“ — ეუბნებიან.

შეღამებულია, ელექტრონის შუქი, დროდადრო, სადღაც შორიდან თუ გამოჭიატდება. მძღოლი ტრასას აკვირდება. ახალგაზრდა ქალს არ სძინავს, პაწია ბიჭი მკერდზე მიუკრავს და კულულებზე ეფერება, თან ყურში ჰანგს ეჩურჩულება: „ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო და...“ ბიჭს მინიატიურული ხუთჯვრიანი დროშის ტარი პაწია თითებით ჩაუბღუჯავს და დედის მკერდზე განაბულა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ეს იყო ორმოცი წლის წინათ

# დაუვიწყარი დაღესტანი

1969 წლის ღვინობისთვეში, დაღესტანში სამეცნიერო ექსპედიციაში ვიყავი, ჩემს კოლეგასთან იაზო კიკვიძესთან ერთად. დაღესტანში ორი გამორჩეული აულია: გუნიბი და კუბაჩები. თუ მათ კარგად გაეცნობი, უნდა ჩათვალო, რომ დაღესტანს მთლიანად იცნობ.

დღესაც კარგად მახსოვს დაღესტნელთა ალალი და გულღია მასპინძლობა. აბა რა დამავიწყებს პოეტ რასულ გამზატოვის ქართველებისადმი გამოხატულ დიდ სიმპათიას. ის ჭეშმარიტად სახალხო პოეტი და დიდი ეროვნული სულის პიროვნება ბრძანდებოდა.

გამახსენდა ასეთი ფაქტი, მახაჩკალიდან გუნიბში მივემგზავრებით. შორი გზა გვაქვს გასავლელი. ბატონი რასული გვესტუმრა და რაიკომის მდივანთან ბარათი გამატანა. მე, რა თქმა უნდა, ბარათი რაიკომის მდივანს გადავეცი, პასუხად კი ეს მივიღე: ეს ბარათი ჩემს ოჯახში სამახსოვრო რელიკვიად დარჩებაო.

გუნიბი, საოცარი სანახავი და მეტად შთამბეჭდავი ციხე-სიმაგრეა. ის მიუვალ მაღალ მთაზე მერცხლის ბუდესავით არის აშენებული. მართლაც, რა ხელმა ააგო. ციხემდე მხოლოდ ვიწრო და საოცრად დაკლაკნილი გზა ადის. ახლა ცოტა ისტორიასაც გადავხედოთ. საქვეყნოდ ცნობილი გუნიბი, სადაც შამილი იყო გამაგრებული, რუსეთის ჯარმა, ძნელი ბრძოლების შემდეგ 1859 წლის 25 მარიამობისთვეს აიღო. შამილი ტყვედ ჩაიგდეს. ბრძოლას კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი სარდლობდა. ასე ჩაესვენა მზე იმამისა, რომელიც ქართველობას თბილისის აღებით ემუქრებოდა. და აშინებდა. ამ ისტორიულად დასამახსოვრებელ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქართველი გენერლები: თარხან-მოურავი და მელიქიშვილი, ოფიცრები: მიქელაძე, გაბაშვილი, კვინიტაძე და სხვები. მათი მონაწილეობა ამ ომში იმ საშინელი ლეკიანობის შედეგია, რასაც ადგილი ჰქონდა კახეთსა თუ ქართლში. ეს ბრძოლა ქართველებმა საკუთარი სამშობლოსთვის ბრძოლის თანაბრად მიიჩნიეს. არც გაემტყუნებათ.

გუნიბის ციხე-სიმაგრეში მწერალთა დასასვენებელი სახლი დაგვხვდა, ისეთი, შემოქმედი კაცი უკეთესს რომ ვერ ინატრებს. ჩვენ იქ რამდენიმე მწერალი გავიცანით. მათ ახსოვდათ თბილისში ჩატარებული რუსთაველის საიუბილეო დღეები. სიამოვნებით ახსენებდნენ: ირაკლი აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, რევაზ მარგიანს, ნოდარ გურეშიძეს, ბესარიონ ჟღენტს. თამადობას უქებდნენ კარლო კალაძეს. შამილზე მათ ერთი სიტყვაც არ დაცდენიათ.

კუბაჩები მახაჩკალიდან შორსაა. გრძელი და ძნელი გზაა სავალი. სამაგიეროდ იქ რომ ახვალ, აულის სილამაზითა და სიმშვენიერით მოიხიბლები. ეს შუა საუკუნეების აულია და არა მეოცე საუკუნისა. ამიტომ ეტანებიან იქაურობას ცნობილი არქიტექტორები. ჩვენი იქ ყოფნის დროს პეტერბურგელები იყვნენ.

ყველა ოჯახში აქვთ თითისტარი, საქსოვი დაზგა და საჩეჩელი. თვალს მოგჭრის შინ დამზადებული ნოხ-ფარდები, ნაქსოვი ტანსაცმელი, წინდები, ჯუბაჩები, ჭედურობის უიშვიათესი ნივთები, ქამარ-ხანჯლები, სპილენძისგან დამზადებული საოჯახო ჭურჭელი და სხვა.

აულის ცენტრში არის ფოსტა, ფურნე, პატარა ბიბლიოთეკა და ფარღალალა სახლი, რომელსაც სასტუმროს დანიშნულება აქვს. ჩემდა გასაკვირად ბიბლიოთეკის კედელზე ბატონ ვარლამ თოფურიას ლამაზი ფოტოსურათი ვნახე, მაგიდაზე კი მისი ერთ-ერთი წიგნი იდო. ბიბლიოთეკარმა ასე მითხრა: ეს დიდი პიროვნებაა, ჩვენი ენა შეისწავლაო. ბარემ აქ იმასაც ვიტყვი, მამის მიერ კარგად დაწყებული საქმე, მისმა ვაჟმა გურამ თოფურიამ წარმატებით გააგრძელა. დაღესტანი, ენის მხრივ მართლაც გასაოცარი კუთხეა. ერთ სოფელს მეორე მეზობელი სოფლის ენა არ ესმის. ასეთი სოფლები ცოტა კი არა, ბევრია. მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, მათ ერთმანეთთან კავშირი აქვთ და ამ კავშირს ისლამი ადუღაბებს. ასე დარჩა ჩემს მეხსიერებაში დაღესტანი და დაღესტნელები.

**დურმიშხან ცინცაძე**



◉ ინფორმაცია

## სკოლის მანდატურები – დამნაშავეთა რისხვა

**სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღების შედეგად მოსწავლეთა დანაშაულებების ფაქტები თითქმის 80 %-ით შემცირდა. ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**მისივე განმარტებით, 80%-ით შემცირდა ასევე მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები. 75%-ით მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის, 95%-ით მათი მხრიდან ფულის გამოძალვის, 80%-ით მოსწავლეებს შორის ფიზიკური დაპირისპირების, 90%-ით კი საჯარო სკოლებში ვანდალიზმის (სასკოლო ქონების დაზიანების) ფაქტები. გარდა ამისა, მისივე თქმით, პრაქტიკულად მოისპო სკოლებში თამბაქოს მოხმარების ფაქტები.**

**ამასთან, დიმიტრი შაშკინმა ისიც აღნიშნა, რომ 2011 წლიდან მანდატურები მუდმივ გადამზადებას გაივლიან და ამ პროცესში ფსიქოლოგები კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან.**

**— გარდა სკოლებისა, მანდატურები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადანაწილდებიან. ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ისინი კერძო სკოლებშიც შევლენ, — დასძინა განათლების მინისტრმა.**

## „ბარამბომ“ ბავშვები გაახარა

**სოციალურად დაუცველ ბავშვებსა და ომში დაღუპულ ქართველ გმირთა შვილებს „ბარამბოს“ ტკბილეულის ქარხანამ უმასპინძლა.**

**ბავშვებმა განათლების მინისტრის პირველ მოადგილე კოკა სეფერთელაძესთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა დაათვალიერეს, გაეცნენ იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რასაც ქარხნის კვალიფიციური თანამშრომლები ტკბილეულის დასამზადებლად იყენებენ.**

**— წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება და ზრუნვა იმ მოზარდებზე, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ყურადღება, სამინისტროსთვის პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება და მომავალშიც არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება განხორციელდება, — აღნიშნა დიმიტრი შაშკინის მოადგილემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

**კალათბურთი**

# ორი კვირაც და...

**ბარსელონაში მოეწყო ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა, რომელმაც ტოპ-16-ის კლუბები მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის კვარტეტებად გაანაწილა. საილუსტრაციოდ იმ ადგილებს გთავაზობთ, რომელიც თითოეულ მათგანს ეროვნულ ჩემპიონატებში სადღეისოდ უკავიათ.**



**„ა“ ჯგუფი**

„პანათინაიკოსი“ (2ძ, „ტაუგრესი“ (3ძ, „უნიკახა“ (12ძ, „ლიეტუვას რიტასი“ (2ძ.

**„ბ“ ჯგუფი**

„მაკაბი“ (1ძ, „ოლიმპია“ (1ძ, „ბარსელონა“ (1ძ, „რომა“ (13ძ.

**„გ“ ჯგუფი**

„სიენა“ (1ძ, „რეალი“ (2ძ, „ეფესი“ (4ძ, „პარტიზანი“ (1ძ.

**„დ“ ჯგუფი**

„ოლიმპიაკოსი“ (1ძ, „ულქერი“ (3ძ, „ჟალგირისი“ (1ძ, „ვალენსია“ (5ძ.





**დავძენთ, რომ აღნიშნული რაუნდის მატჩები 19 იანვრიდან 2 მარტამდე ორ წრედ გაიმართება, მეტოქეთა შორის კი რაოდენობით ესპანელები სჭარბობენ — „ოთხთა ფინალის“ საგზურებისთვის პრიმერადივიზიონის ერთბაშად 5 გუნდი იბრძოლებს.**

**ფეხბურთი**

# საშობაო ტრანსფერები



**მოგეხსენებათ, შოთა არველაძის გაწვრთნილი „ქაისერისპორი“ თურქეთის მიმდინარე ჩემპიონატში არნახულად მაღლა აფრინდა და პირველად გაერია ლიდერთა მარაქაში.**

ბუნებრივია, წამყვანი პოზიციების შესანარჩუნებლად პროვინციული კლუბის შეფები სახსრებს არ ზოგავენ და შემადგენლობას შეძლებისდაგვარად აძლიერებენ.

ოსმალოთა უკანასკნელი შენაძენი 23 წლის თავდამსხმელი ნორდინ ამრაბატი გახლავთ. წარმოშობით მაროკოელის სატრანსფერო თანხა ოფიციალურად არ ხმაურდება, თუმცა „სქაი სპორტის“ ცნობით, მომავალი კონტრაქტი 4-5-წლიანია და მისი გაჩარხვა 1,1 მილიონი ევრო დაჯდა. ფეხბურთელის პრეზენტაცია დღეს ადგილობრივი დროით 14 საათისთვისაა დანიშნული.



დავძენთ, რომ ამრაბატის ჰოლანდიური კარიერა ასეთი მონაგარით დასრულდა: „ალმერ სიტი“ — 36 თამაში, 14 გოლი; „ვენლო“ — 33 თამაში, 10 გოლი; „ეინდჰოვენი“ — 50 თამაში, 8 გოლი.

* * *

**„მანჩესტერ სიტის“ იტალიელმა თავკაცმა რობერტო მანჩინიმ დაადასტურა, რომ მისი გუნდი და „ვოლფსბურგი“ ბუნდესლიგის ბინადრის ბოსნიელი ბომბარდირის ედინ ჯეკოს სატრანსფერო ფასზე შეთანხმდნენ.** მართალია, მას არ დაუკონკრეტებია თანხის ოდენობა, მაგრამ ინგლისური პრესის ინფორმაციით, იგი 27-დან 35 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე მერყეობს.

* * *

**„მილანის“ საკუთრებაში მყოფი რონალდინიოს შესაძენად „გრემიო“, „ფლამენგო“ და „პალმეირასი“ იბრძვიან, მაგრამ, ეტყობა, ბრაზილიელ კონკურენტებს „ბლექსბერნი“ აჯობებს.**

მისმა ინდოელმა მფლობელმა, კომპანია „ვენქიზის“ პრეზიდენტმა ანურადჰა დესაიმ შესაბამისი სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ პრემიერლიგის წარმომადგენლის ბოსებს 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, შესაძლო გარიგების სასურველი შედეგით დასაგვირგვინებელ კოზირად კი მისივე სიტყვებს იმოწმებს, ნისლიან ალბიონზე თამაში მსურსო.

სხვათა შორის, „ბლექბერნის“ ინდოელი პარტნიორები ცდას არ აკლებენ, რათა სეზონის ბოლომდე „ლოს-ანჟელეს გელექსიდან“ დევიდ ჰექჰემიც ინათხოვრონ.

* * *

**დამდეგ სეზონს მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება ამსტერდამის „აიაქსი“. უპირველესად გაუწყებთ, რომ ჰოლანდიურ გრანდთან 2014 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი მისმა 40 წლის მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ დე ბურმა.**

რაც შეეხება ფეხბურთელებს, გუნდი 27 წლის ეგვიპტელმა თავდამსხმელმა ჰასან მიდომ დატოვა, რომელსაც განვლილ 5 თვეში მხოლოდ ამდენჯერვე ანდეს ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ფარაონთა შთამომავალი კარიერას, სავარაუდოდ, ესპანურ „დეპორტივოში“ გააგრძელებს.

სამაგიეროდ, „აიაქსის“ მაისურს ფინეთის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი ჰენრი ტოივომაკი მოირგებს. „ლახტის“ აწ უკვე 19 წლის ყოფილმა ვუნდერკინდმა ჰოლანდიელებს საკუთარი მომავალი 2013 წლამდე თანამემამულე იარი ლიტმანენის რჩევით დაუკავშირა, რომელმაც ამსტერდამში ახლო წარსულში მთელი ეპოქა შექმნა.

**64 უჯრა**

# ბრწყინვალე მეორე...



**პაულ კერესი (1916, ნარვა — 1975 ტალინიძ — საერთაშორისო დიდოსტატი (1950ძ, ესტონეთის ჩემპიონი (1934ძ, სამატჩო შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიო ექს-ჩემპიონი მაქს ეივე (1939ძ.**

— „კერესი ჭადრაკის გენიოსია, მაგრამ ადრეც იყვნენ მსგავსი გენიოსები (მაკ-დონელი, ცუკერტოტი, ჩიგორინი, ტარაში, პილსბერიძ, რომლებიც ბრწყინვალე მეორენი იყვნენ“, — ამბობდა ტარტაკოვერი (1938ძ. ეს წინასწარმეტყველება გამართლდა: პაულ კერესი 1960-1962 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებს მხოლოდ ფინალური სტადიებიდან ეთიშეოდა.

ესტონელმა დიდოსტატმა 1700-ზე მეტი ამოცანა და 30 ეტიუდი შეადგინა.

გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.

**კერესი 1936**



**თეთრებს ზედმეტი ლაზიერი ჰყავთ, მაგრამ შავების გამსვლელი პაიკები საფრთხეს უქმნიან მეტოქეს. გონებამახვილური საშამათო კომბინაცია რომ არა, ამ პარტიის მოგება შეუძლებელი იქნებოდა.**

1 მc2+! – მეa2 2. მb4+ – მეa1 3. ლa2+! – ხa 4. მc6 (რასაც მოჰყვება მd4 და შემდეგ მb3 ან მd2)

სხვა ვარიანტები მომგებიანია:
1... ჰc2, მაშინ ლხ8 2... მეa3, მაშინ 3. მd3! – ჰ:d3 4. ლd6+ მეa2 5. ლd5!

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

ნოდრის კარიკატურა



**ინტერნეტიდან**

# „დაკარი“ წინ მიიწევს





**როგორც უკვე ვწერდით, (04.01.2011ძ, 1 იანვარს ბუენოს-აირესში სტარტი აიღო სახელგანთქმულმა ავტორალმა „დაკარი“. ის სამხრეთ ამერიკაში მესამედ ტარდება. პირველ დღეს ორგანიზატორებს დაგეგმილი არ ჰქონდათ შეჯიბრებები. რალის მონაწილეთა ქარავანმა მხოლოდ წინ წაიწია 377 კილომეტრით. ნამდვილი ბრძოლა პირველობისთვის მეორე დღეს დაიწყო.** სატვირთო ავტომანქანებში თავისი უპირატესობა კვლავ აჩვენა „კამაზელმა“ ვლადიმერ ჩაგინმა. თუმცა მესამე დღეს მას „ბედმა უმტყუნა“, — ისე ცხელოდა, რომ ხელსაწყოები ზუსტად ვერ უჩვენებდნენ ნამდვილ ტემპერატურას. ფინიშამდე ორ კილომეტრზე მას მარჯვენა უკანა საბურავი გაუსკდა, უკანა ფრთაც დაემსხვრა და მანქანას ცეცხლი წაეკიდა. მის ჩაქრობას ცეცხლმაქრები არ ეყოფოდა, ადგილობრივ მცხოვრებლებს ვედროთი მათთვის ძვირფასი წყალი რომ არ მიეშველებინათ.





პირველ დღეს მარათონის მონაწილეებმა არგენტინაში ვიქტორიიდან კორდოვამდე 788 კილომეტრი გაიარეს, მეორე დღეს კი კორდოვადან-სან-მიგელ-დე-ტუკუმანამდე — 764 კმ.

საერთო ჩათვლაში წინ მოტოციკლეტებში ფრანგი დეპრეა, მსუბუქ ავტომანქანებში საინსკრუზი — ესპანეთიდან, სატვირთოებში კი „კამაზის“ კაზიროვ-ბელიაევ-მოკეევის ეკიპაჟი.

# არასექსუალური სექს-სიმბოლო?

**რაღას არ იტყვის მოშურნე ქალის ენა! თავად განსაჯეთ, ჯერ არ დამთავრებულიყო ოვაციები კონკურსში Playmate-2010 გამარჯვებულისადმი ოვაციები, ისე კი ბულგარელი ლამაზმანი დორის დილოვა იყო, როცა მოშურნეებმა კასრ თაფლში კუპრის წვეთები გაურიეს.** ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ბულგარეთის სექს-სიმბოლოს სულ არ გააჩნია სექსუალურობა:

„მე მიმაჩნია, რომ „პლეიბოის“ ახალი დედოფალი არ ბრწყინავს სექსუალობით. თუმცა, ვფიქრობ, რომ დორისი ლამაზი ქალია. მაგრამ ადრინდელი დედოფლები გაცილებით მგზნებარენი იყვნენ. საერთოდ კი 2010 წლის კონკურსი ნამდვილი ფარსი იყო“.



რასაკვირველია, გემოვნებაზე არ დავობენ, თქვენ კი შეხედეთ დორის დილოვას და თვითონ გადაწყვიტეთ, სექსუალურია თუ არა ის.

ჩვენი კარაბადინი

# რამდენი გული აქვს მამაკაცს?

**ერთი შეხედვით, ამ პარადოქსულ შეკითხვაზე სპეციალისტები მამაკაცურ დაავადებებზე უპასუხებენ სავსებით გარკვევით: მამაკაცს აქვს ორი გული.**

**ერთი მას უცემს მკერდში, მეორე ახდენს მისი ცხოვრების სასქესო სფეროს რეგულირებას. როდესაც ისინი წყობილებიდან გამოდიან, მათ ზოგჯერ ერთნაირად მკურნალობენ.**

**სიტყვას ვაძლევთ ჩვენს ექსპერტს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ექიმ-კარდიოლოგს ბიჭიკო გელაშვილს.**



### შვიდი უბედურება — ერთი პასუხი

**ადრე მიაჩნდათ, რომ ერექტიული დისფუნქციის (მამაკაცური პოტენციის დარღვევაძ მკურნალობა — მხოლოდ სექსოპათოლოგებისა და ფსიქიატრების პრეროგატივააო. სულის მკურნალები თავიანთ სამეურვეოებს უნიშნავდნენ დამამშვიდებელ საშუალებებს და ინტიმური შეხვედრების განსაკუთრებულ რეჟიმს (სექსოთერაპიასძ.**

წლების შემდეგ სქესობრივი უძლურების მკურნალობა შეიცვალა. სპეციალისტები დარწმუნებული არიან: ერექტიული დისფუნქცია — მრავალფაქტორიანი პრობლემაა. და შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში ეს არის შედეგი:

ფსიქოლოგიური მოშლილობისა, რომელიც ყველაზე ხშირად წარმოიქმნება სტრესებისა და დეპრესიების დროს;

შაქრის დიაბეტისა. იმ მამაკაცებს, ვისაც ეს დაავადება აწუხებს, პრობლემები პოტენციასთან დაკავშირებით სამჯერ უფრო ხშირად წარმოექმნებათ, ვიდრე მათ, ვისაც შაქრის დიაბეტი არა აქვთ.

ერექტიული დისფუნქცია შეიძლება წარმოიქმნას მრავალი სხვა ენდოკრინოლოგიური დაავადებებისგან: ჰიპოტირეოზისგან, ჰიპოფიზის (პროლაქტინომისძ სიმსივნისგან. მათ შორის:

ტესტოსტერონის სასქესო ჰორმონის გამომუშავების დაქვეითებით — ეს მამაკაცის ორგანიზმში ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების რეგულაციის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე და სიყვარულის მთავარი კატალიზატორია, რომელიც პასუხისმგებელია სპერმატოგენეზისა (სპერმის გამომუშავებისაძ და ლიბიდოსთვის (სქესობრივი სწრაფვისთვისძ;

— უროლოგიური პრობლემების გამო, ისეთებისა, როგორიცაა მამაკაცის სასქესო ორგანოების მანკები, წინამდებარე ჯირკვლებისა და საშარდე ბუშტის დაავადებანი, თირკმლების უკმარისობა, რომლებიც ასევე დამთრგუნველად მოქმედებენ მამაკაცის სასქესო ფუნქციაზე.

### ერთმანეთთან დაუკავშირებელი სისხლძარღვების კანონი

**და მაინც ყველაზე ხშირად პოტენციის დარღვევას სისხლძარღვული ხასიათი აქვს. პაციენტები მცირე მენჯის არტერიებში შეცვლილი სისხლის მიმოქცევით შეადგენენ ყველაზე დიდ ჯგუფს მათგან, ვისაც არ შეუძლია სრულფასოვანი ინტიმური ცხოვრება.**

და ეს სავსებით გასაგებია: პენილური არტერიები, რომლებიც სისხლით ამარაგებენ სასქესო ორგანოს, შეადგენენ სულ რაღაც 2-3 მილიმეტრს დიამეტრში. სისხლძარღვების საშუქის შევიწროება ათეროსკლეროტიკული ბალთის ხარჯზე, მათი გამავლობის დარღვევა უმალვე აისახება ერექციის ხარისხზე. არ არის გასაკვირი, რომ ყველაზე ხშირად მათ შორის, ვისაც აწუხებს ერექტიული დისფუნქცია, გვხვდებიან მამაკაცები გულის იშემიური დაავადებით, რომლის დროსაც კორონარული სისხლძარღვები ასევე დაზიანებული არიან ათეროსკლეროზით, თანაც, ბევრი გამოკვლევის მონაცემებით, აღნიშნულია, რომ ერექტიული დისფუნქციის სიხშირე ასეთ პაციენტებში შეადგენს 75 პროცენტამდე.

— ჩვენ დიდი ხანია შევნიშნეთ ეს კანონზომიერება, — გვიამბობს ბიჭიკო გელაშვილი. — ისევე, როგორც მეორე: თუ პაციენტმა გაიარა სრულფასოვანი მკურნალობა ენდოკრინოლოგთან, უროლოგთან, ანდროლოგთან და არ აღენიშნება გაუმჯობესება, მიუხედავად სასქესო ფუნქციების აღდგენის სპეციალური პრეპარატების მიღებისა, აქ უნდა დაგვეხმარონ ენდოვასკულარული ქირურგები.

### რადიკალური გადაწყვეტილება

**ამჟამად ექიმებისა და პაციენტების განკარგულებაში გაჩნდა კიდევ ერთი დიაგნოსტიკური გამოკვლევის შესაძლებლობა — მცირე მენჯის არტერიების სელექტიური ანგიოგრაფია, რომელიც საშუალებას იძლევა ზუსტად ვთქვათ, კერძოდ, რომელ სისხლძარღვებში მოხდა ათეროსკლეროტიკული შეკუმშვა, რამდენად რთულია სიტუაცია და მკურნალობის რომელი მეთოდი უნდა ავირჩიოთ.**

პროცედურა, რომლის დროსაც პაციენტის თეძოს არტერიით შეჰყავთ კათეტერი და კონტრასტული ნივთიერების დახმარებით იკვლევენ არტერიებს, ეწყობა საოპერაციო პირობებში. ამ დიაგნოსტიკურ მეთოდიკას, რომელიც განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს, ფლობენ ენდოვასკულარული ქირურგები.

საგრძნობი შევიწროების გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელია ანგიოპლასტიკის ჩატარება მცირე მენჯის არტერიის დაზიანებული მონაკვეთის სტენტირებით. ტექნიკურად ეს პროცედურა ჰგავს იმას, რომელსაც ახორციელებენ კორონარული არტერიების სტენტირების დროს: ათეროსკლეროზით დაზიანებულ სისხლძარღვში შეჰყავთ მინიატურული ბალონი, რომელზეც მოთავსებულია თხელი ლითონის ბადურიანი მილაკი — სტენტი. ბალონი შეჰყავთ შევიწროების ადგილში და ბერავენ მაღალი წნევით, სისხლძარღვი ფართოვდება საჭირო დიამეტრამდე.

მცირე მენჯის არტერიის დაზიანებული მონაკვეთის სელექტიური ანგიოგრაფია და სტენტირება ხდება გაუჭრელად, ნარკოზის გამოუყენებლად, ადგილობრივი ანესთეზიით. ოპერაციის შემდეგ აღდგენილი სისხლის სრულფასოვანი არტერიული ნაკადი მცირე მენჯის ორგანოებისკენ ავლენს ახალ პერსპექტივებს დარღვეული სასქესო ფუნქციის კორექციისთვის, და მამაკაცი ასაკის მიუხედავად რჩება მამაკაცად.

მაგრამ გახსნა მავნე წრისა, რომელმაც გამოიწვია ამ ავადმყოფობის განვითარება, ზოგჯერ ძალიან ძნელია. საჭიროა ზემოქმედება პათოლოგიური პროცესის ყველა რგოლზე. სათანადო კვლევით ცენტრებში ამ საქმეს ემსახურებიან სპეციალისტების მთელი გუნდი, რომლებშიც შედიან ენდოკრინოლოგები, უროლოგები, ანდროლოგები, ფსიქოთერაპევტები, კარდიოლოგები. მაგრამ ხშირად სწორედ ენდოვასკულარული ქირურგია ხდება ფინალური აკორდი სიყვარულის დაკარგული სიხარულისკენ მიმავალ გზაზე.

**გვირჩევენ**

**თავი რომ დავაღწიოთ პრობლემებს პოტენციასთან დაკავშირებით:**

- **მიაქციეთ ყურადღება საკუთარ წონას. თქვენი წელის მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს 90 სანტიმეტრს.**
- **შეზღუდეთ საკვების კალორიულობა, შეამცირეთ რაფინირებული ცხიმების (კარაქი, არაჟანი, მაიონეზი და ა.შ.) და ნახშირწყლების (შაქარი, კანფეტი, ტკბილი სასმელები და ა.შ.) მიღება.**
- **იმოძრავეთ მეტი. მამაკაცური ღირსებისთვის ყველაზე სასარგებლო სპორტის სახეობა — ცურვაა.**
- **უარი თქვით მოწევაზე. ის არა მხოლოდ ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას, არამედ აქვეითებს დონეს პროსტაგლანდინებისა — ჰორმონალური ნივთიერებებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ერექციის გაჩენას მამაკაცებში.**
- **იყავით ფრთხილად ზოგიერთი პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით. იმ წამლებს, რომლებიც თრგუნავენ ინტიმურ ცხოვრებას, განეკუთვნებიან ანტიდეპრესანტები, ზოგიერთი ანტიჰიპერტენზიური პრეპარატის ჰისტამინისა და წყლულის საწინააღმდეგო საშუალებები.**

**საინტერესოა**

**ერექტიული დისფუნქცია აწუხებს არა მხოლოდ უბრალო მოკვდავებს. მის მფლობელთა რიცხვში შედიან ისეთი წარმომადგენლები კაცობრიობის ძლიერი ნახევრისა, როგორებიც არიან ნიუტონი, მენდელი, გოგოლი, გოეთე, ბალზაკი. ფსიქოანალიზის მამა ზიგმუნდ ფროიდიც კი.**

**სხვათა შორის**

**ექსპერტების მონაცემებით, პოტენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მაგალითად, რუსეთში (საქართველოსთვის ასეთი მონაცემები არ გაგვაჩნია) განიცდის ყოველი მესამე მამაკაცი 35 წლის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით კი სპეციალისტებს მიმართეს პაციენტების მხოლოდ 16 პროცენტმა.**

**სექსუალური ქცევის ამასწინანდელმა გამოკვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 35-60 წლის 650 მამაკაცმა და 200 ქალმა, აჩვენა კიდევ უფრო სამწუხარო სურათი. გამოკვლევის თანახმად, პრობლემებს, რომლებიც აწუხებთ მამაკაცებს სასქესო აქტის დროს ერექციის შენარჩუნებაში, აწყდებოდა რესპონდენტების 66 პროცენტი.**

ხსოვნა

# მიხეილ ბაშელეიშვილი



საქართველოს მათემატიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ბაშელეიშვილი.

მიხეილ ბაშელეიშვილი დაიბადა 1929 წლის 15 იანვარს სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში. 1935 წელს იგი შევიდა და 1945 წელს დაამთავრა ბაშის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1950 წელს. 1950-1953 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის ასპირანტი. 1953 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1967 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1970 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

მიხეილ ბაშელეიშვილი 1953-1956 წლებში მუშაობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1956 წლიდან 1967 წლამდე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკისა და ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტებში. 1967 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

პროფ. მ. ბაშელეიშვილის მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო დრეკადობის მათემატიკური თეორია და მათემატიკური ფიზიკის ინტეგრალური და დიფერენციალური განტოლებების თეორია. იგი ავტორია 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან 5 მონოგრაფიაა. მის სამეცნიერო სემინარებზე აღიზარდა მრავალი მკვლევარი, რომელთაგან 4 მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 16 — მეცნიერებათა კანდიდატი.

პროფ. მ. ბაშელეიშვილს 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, ხოლო 1985 წელს — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი იყო საქართველოს და ამერიკის მათემატიკური საზოგადოებების წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის პრემიის ლაურეატი.

თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრების სტილით პროფ. მიხეილ ბაშელეიშვილმა დაიმკვიდრა სახელი შემოქმედი პროფესიონალი მკვლევარისა, შესანიშნავი ლექტორისა და აღმზრდელისა, ეტალონურად უმწიკვლო და უაღრესად პატიოსანი მოქალაქისა. სწორედ ეს გახდა საწინდარი იმ გულწრფელი და ღრმა პატივისცემისა, რასაც ყოველთვის გამოხატავდნენ მის მიმართ ქართველი და უცხოელი მეცნიერი კოლეგები. იგი, როგორც გამოჩენილი და სპეტაკი მეცნიერი, დაუვიწყარი იქნება მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და კოლეგების ხსოვნაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი.

---

შვილები თამაზ, ზურაბ, რძალი ნინო გერაძე, შვილიშვილები მიხეილ, ლელი, დები ლილი, ნათელა ბაშელეიშვილები, დისწულები გიორგი, ქეთინო და მანანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ ონოფრეს ძე ბაშელეიშვილი

პანაშვიდი 6, 7 I, 17 სთ. გამოსვენება 8 I, 14 სთ, მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 75, III კორპ., II სადარბაზო.

---

გიორგი, თემური, მამუკა ხაზარაძეები, ირაკლი და დიანა ბაშელეიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო ნათესავის, ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ

მიხეილ ონოფრეს ძე ბაშელეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიხეილ ბაშელეიშვილი

---

გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი (თბილისისძ იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ მუზეუმის ყოფილი დირექტორი

შოზი აბრამიძე

დაკრძალვა ქ. ვანში, 6 I, ჩახუნაშვილის ქ. №3.

---



მეუღლე დინარა კორშია, შვილები რამაზ, ელზა, მახო გადელიები, სიძე კახა გოგუა, რძალი შორენა ნადიბაიძე, შვილიშვილი ნიკოლოზ, ძმები დემურ, აპოლონ, თამაზ, დები ანგელინა, ლეილა, ანა გადელიები, ცოლისძმები აბრამ, ზაურ კორშიები ოჯახებით, დისწულები, ძმისწულები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის გადელია

პანაშვიდი 6, 8 I, 16 სთ. ქ. თბილისი, გოგებაშვილის მესამე შესახვევი, ჩიხი №1, სახლი №7. დაკრძალვა 9, I, 15 სთ. გამოსვენება ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

---

დედა ანა, ბებია ფარიზა, ძმა გრიგოლი, და ნათია კარანაძეები, მამიდები ნინო და ნანა კარანაძეები, ბიძები ილია თევზაძე, ზურაბ რობაქიძე, გია ლომიძე, სიძე მერაბ გვილავა, რძალი ვიკა კარანაძე, მამიდაშვილები გიორგი, ანა, თიკო, თაკო, ამიკო თევზაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი (კაკოძ ვაჟას ძე კარანაძე

პანაშვიდი 6, 7 I, 17 სთ. დაკრძალვა 8 I, 14 სთ. მისამართი: მაზნიაშვილის 5/7 (ყოფილი მერკვილაძის ქუჩაძ.

## დაიჯესტი

### მართვადი პარაშუტი



**... პარაშუტისტის თავზე პარაშუტის თალი გაიშალა, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ უცბად თალს უცნაური რამ მოსდის: იგი... სფეროდ გადაიქცევა! საკეტის გადატრიალება და პარაშუტისტის ზურგჩანთაში გაზქურის პაწაწინა ალი ინთება.** ცხელი ჰაერი სფეროს ავსებს და დაშვებაც... ფრენით იცვლება. ჰაერის ნაკადი პარაშუტისტს ჰორიზონტისკენ მიანარნარებს. ცოტა ხანში პარაშუტისტი გაზს თიშავს და დასახლებული პუნქტის მახლობლად ეშვება. ეს პარაშუტი ინგლისში გამოიგონეს და, როგორც აცხადებენ, მას ჩვეულებრივთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ მფრინავს შეუძლია მიწაზე იქ დაეშვას, სადაც სურს ანდა სადაც სათანადო დახმარებას აღმოუჩენენ.

### კბენა, როგორც გადარჩენის მეთოდი

**ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, თუ რით დასრულდებოდა წყნარი ოკეანის სამხრეთის საკურორტო კუნძულ მურეას ნაპირთან ქალისა და დიდი მურენას ორთაბრძოლა, ქალს უჩვეულო ხერხი რომ არ ეხმარა.**

მაშველების აზრით, უფრო სავარაუდოა, რომ გაიმარჯვებდა ოკეანის მტაცებელი, რომლის ყურადღება, როგორც ჩანს, 27 წლის კრისტინა გიიოს ხელზე ბრჭყვიალა ოქროს სამაჯურმა მიიპყრო. მან ქალს ხელში პირი სტაცა და მისი სიღრმეში ჩათრევა უნდოდა. ინსტრუქტორი ჯერი უოტმენი ამაოდ ცდილობდა მეტრანახევრიანი მტაცებლის ყბების გახსნას, რის შემდეგ ნაცად ხერხს მიმართა, რომელიც დედამიწის ზურგზე არც ერთ ცოცხალ არსებას არ უყვარს – მან მურენას... უკბინა. შედეგად გაოგნებული თევზი ოკეანის წიაღში გაუჩინარდა, ოღონდ უნადავლოდ.



### უტევენ... ლოკოკინები

**ფილიპინის არქიპელაგის ორ კუნძულს, ჰიმარესსა და ათანესს, თავს დაატყდა არნახული უბედურება – აქაურობას... ლოკოკინები შეესივნენ.** ლოკოკინებმა ბაღებსა და ბოსტნებს შეუტიეს და კალიებივით ყველაფერს ერთიანად ანადგურებენ. კუნძულის მცხოვრებლებს მოულოდნელი დახმარება არქიპელაგის სხვა კუნძულებიდან „გადმოსახლებულმა“ ფრინველებმა აღმოუჩინეს, რომლებიც დიდი სიამოვნებით კენკავენ „ნუგბარს“. თავის მხრივ ფერმერებმა „მომხდურთა“ წინააღმდეგ რამდენიმე ათეული ათასი... ქათამი „გამოიყვანეს“ და ბრძოლაც გაჩაღდა.

### გინდა თუ არა, სათვალე მაინც გჭირდება!

**ნიუ-იორკის ერთ-ერთი ოპტიკის მაღაზიის მეპატრონემ ორიგინალური სარეკლამო სვლა მოიფიქრა.** მაღაზიის თავზე მან უზარმაზარი ელექტრონანერი განათავსა წარწერით: „არასდროს დაგავიწყდეთ: არაფერი განასხვავებს ადამიანს ცხოველისგან ისე, როგორც სათვალე!“



### რელიქტური მეტრო



**გლაზგოს მეტრო ჯერ კიდევ 1891 წელს გაიყვანეს. იმის გამო, რომ გვირაბის დიამეტრი სულ სამი მეტრია, მისი ვაგონები იმდენად პატარაა, რომ მაღალ კაცს წელგამართულად დადგომა მხოლოდ ვაგონის შუაში შეუძლია.** ამასთან, სადგურების პერონები იმდენად მოკლეა, რომ მატარებლის ჩამოდგომას მგზავრები... ქუჩაში ელოდებიან.

### ოფლის ფასი

**მსგავსი საქონელი არც ერთ პრეისკურანტში არასდროს ყოფილა. ამიტომ, ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებსაც სხვადასხვა გამოკვლევებისთვის...** ადამიანის ოფლი დასჭირდათ (უმეტესწილად, კოსმოსში ხანგრძლივად ყოფნისას სიცოცხლის პირობების შესასწავლად), დიდხანს ვერ დაადგინეს, თუ რამდენი უნდა გადაეხადათ მასში. იმის გათვალისწინებით, რომ ამ „საქონლის“ შევსება მხოლოდ წვეთ-წვეთადაა შესაძლებელი, მას მაღალი ფასი დაადეს – ლიტრი ადამიანის ოფლი 1600 დოლარი ღირს.

## ჯანმრთელობა

# გახდომა ნაბიჯ-ნაბიჯ

**დიდი ხანია, მინდა გავხდე. ბევრი რამ გამიგონია დოქტორ მირკინის დიეტის შესახებ. იქნებ აგვიხსნათ, როგორია ეს დიეტა?**

**გ. სიდამონიძე, თბილისი**

**დოქტორ მირკინის დიეტის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ პაციენტს სთავაზობენ პროდუქტების შერჩევის რამდენიმე ვარიანტს, რომელთაგანაც ის თავისი შეხედულების მიხედვით უპირატესობას ანიჭებს ერთ-ერთს. ენერგეტიკული ღირებულების მიხედვით დიეტა ზუსტი არაა, მაგრამ ის პაციენტს აძლევს პროდუქტების სწორი შერჩევის ორიენტაციას.**

**აი, სანიმუშო დღიური მენიუ:**

**საუზმე:** 100 გრამი ცილოვანი საკვები (ხაჭო, ყველი ცხიმიანობის 40 პროცენტით, მოხარშული ან შემწვარი ხორცი, მოხარშული ან შემწვარი თევზი), ჩაი ან ყავა უშაქროდ (შეიძლება რძით).

**სადილი:** პირველი კერძის ბულიონი (არ უნდა იყოს სქელი, კარგია კომბოსტოთი), 100 გრამი ხორცი ან თევზი და 130 გრამი ბოსტნეულის სალათი (კარტოფილისა და ლობიოს გარდა), 25 გრამი პური, დაუშაქრავი კომპოტი ან წვენი.



**ვახშამი:** 100 გრამი ხორცი ან თევზი, ერთი ჭიქა კეფირი (ცხიმიანობის 2,5 პროცენტამდე), დამატებით შეიძლება მიირთვათ ვაშლი, მანდარინი ან ფორთოხალი.

შემოთავაზებული უნივერსალური დიეტის შესაბამისად, პაციენტებს, თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, შეუძლიათ შეადგინონ სადღეღამისო მენიუ, რომელიც არ გადააჭარბებს 1500 კილოკალორიას. თანაც მათ ყოველდღიურად უნდა ცვალონ კვების რაციონი, რომ ორგანიზმმა მიიღოს ყველა აუცილებელი ნივთიერება.

უფრო დაწვრილებით ვლადიმირ მირკინის დიეტის შესახებ შეიძლება წავიკითხოთ მის წიგნში „როგორ გავხდეთ ერთხელ და სამუდამოდ. 11 ნაბიჯი ტანკენარობამდე“.

**გთავაზობთ სანიმუშო მენიუს სამი დღისთვის:**

**I დღე:**

**საუზმე:** ერთი ჭიქა ყავა რძით უშაქროდ (250 გრამი), უცხიმო ხაჭო (200 გრამი).

**სადილი:** უკრაინული ბორში ხორცის ბულიონზე (ამოვიღოთ კარტოფილი, ხორცი) (250 გრამი), მოხარშული ხორცი პირველი კერძიდან (100 გრამი), ახალი კომბოსტოს სალათი მარილით, ხახვით და მცენარეული ზეთით (150 გრამი), ერთი ნაჭერი ხორბლის პური (30 გრამი), ერთი ჭიქა პამიდვრის წვენი (ტომატი) – (250 გრამი).

**სამხარი:** ჭიქა რძე (ცხიმიანობის 1,5 პროცენტით).

**ვახშამი:** სოსისი (100 გრამი), ჭიქა კეფირი (ცხიმიანობის 3,2 პროცენტი), ვაშლი (200 გრამი).

სადღეღამისო რაციონი – 1200 კილოკალორია.

**II დღე:**

**საუზმე:** ჩაი რძით უშაქროდ (250 გრამი), 2 მოხარშული კვერცხი მარილით.

**სადილი:** კარტოფილის წვნიანი (წვრილად დაკეპილი ბოსტნეულით (ვაცლით კარტოფილსა და ხორცს) – 250 გრამი), ღორის სარდელი (100 გრამი), ახალი კიტრის სალათი მარილით, ხახვით და მცენარეული ზეთით (130 გრამი), ხორბლის პურის ნაჭერი (50 გრამი), ჭიქა ხილის ჩირის კომპოტი უშაქროდ.

**სამხარი:** ჭიქა კეფირი (ცხიმიანობის 1,5 პროცენტი).

**ვახშამი:** ყველი (100 გრამი), ჭიქა კეფირი (ცხიმიანობის 2,5 პროცენტი), ფორთოხალი.

სადღეღამისო რაციონი – 1300 კილოკალორია.

**III დღე:**

**საუზმე:** ყავა რძით უშაქროდ, ძეხვი საექიმო (100 გრამი).

**სადილი:** უხა (ვაცლით კარტოფილსა და თევზს) – (250 გრამი), ღორის ხორცის კატლეტი (100 გრამი), ახალი პამიდვრისა და კამის სალათი მცენარეული ზეთით (130 გრამი), თეთრი პურის ნაჭერი (50 გრამი), ჭიქა ვაშლის წვენი (250 გრამი).

**სამხარი:** ჭიქა პამიდვრის წვენი (250 გრამი).

**ვახშამი:** უცხიმო ხაჭო (200 გრამი), ჭიქა კეფირი (ცხიმიანობის 3,2 პროცენტი), ყურძენი (200 გრამი).

**სადღეღამისო რაციონი – 140 კილოკალორია.**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +8 |
| ქუთაისი. | +7 – +14 |
| ბათუმი. | +8 – +14 |
| ზუგდიდი. | +4 – +8 |
| თელავი. | -1 – +9 |

## კადრი



## ანეკდოტები

რეკლამის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ჭურჭლის რეცხვის საუკეთესო საშუალებად კვლავ ცოლი რჩება.



* * *

ინტელექტუალი – ეს ის პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია სექსზე უფრო საინტერესო საქმის გამოძებნა.

* * *

იდეალური ქმარი მუდამ სხვა ქალზეა დაქორწინებული.

* * *

თქვენც გეჩვენებათ, რომ დატენილი ტელეფონი უფრო მძიმეა?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.